პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტისა და
საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ორგანო
КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ и СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

გამოცემის 41-ე წელი
№ 238 (11849)
ოთხშაბათი, 12 ოქტომბერი, 1960 წ.
ფასი 20 კაპ.

ნ. ს. ხრუშჩოვის შეხვედრები ნიუ-იორკში

ნიუ-იორკი, 10 ოქტომბერი. სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის პრეს-ჯგუფი იტყობინება:

10 ოქტომბერს საბჭოთა დელეგაციის მეთაურმა სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარემ ნ. ს. ხრუშჩოვმა საუზმე გამართა აზიისა და აფრიკის მთელი რიგი ქვეყნების დელეგაციათა მეთაურების პატივსაცემად.

საუზმეზე იყვნენ: გვინეის რესპუბლიკის პრეზიდენტი სეკუ ტურე, სპილოს ძვლის ნაპირის დელეგაციის მეთაური მამადუ ყულიბალი, ნიგერიის ინფორმაციის მინისტრი ტ. ო. შ. ბენსონი, საუდის არაბეთის დელეგაციის მეთაური აჰმედ შუქეირი, მალის რესპუბლიკის დელეგაციის მეთაური უსმან ბა, ბირმის დელეგაციის მეთაური უ ტანი, ზემო ვოლტის დელეგაციის მეთაური ფ. გუირმანი, ლიბერიის დელეგაციის მეთაურის მოადგილე ჰენრი კუპერი, ლიბიის დელეგაციის მეთაური მუხიდინ ფიკინი, ცეილონის დელეგაციის მეთაური კლოდ კორეა, ტუნისის დელეგაციის წარმომადგენელი ბურგიბა უმცროსი, აგრეთვე გვინეის რესპუბლიკის საზოგადოებრივ სამუშაოთა და კავშირგაბმულობის მინისტრი ისმაილ ტური, იუგოსლავიის საგარეო საქმეთა მინისტრი კ. პოპოვიჩი.

საბჭოთა კავშირის მხრივ იყვნენ: სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრი ა. ა. გრომიკო, სსრ კავშირის მუდმივი წარმომადგენელი გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში ვ. ა. ზორინი, სსრ კავშირის ელჩი ამერიკის შეერთებულ შტატებში მ. ა. მენშიკოვი, დელეგაციის წევრები და მრჩევლები. საუზმეზე იყვნენ უკრაინის სსრ საგარეო საქმეთა მინისტრი ლ. ფ. პალამარჩუკი, ბელორუსიის სსრ საგარეო საქმეთა მინისტრი კ. ვ. კისელიოვი.

საუზმემ გულთბილ, მეგობრულ ვითარებაში ჩაიარა.

ნიუ-იორკი, 11 ოქტომბერი. (საკდესი). გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური ასამბლეის XV სესიაზე საბჭოთა დელეგაციის მეთაური ნ. ს. ხრუშჩოვი გუშინ იყო ლარბაზობაზე, რომელიც კუბის საგარეო საქმეთა მინისტრმა რაულ როამ გამართა.

ლარბაზობამ გულთბილ, მეგობრულ ვითარებაში ჩაიარა.

ნ. ს. ხრუშჩოვის საუბარი

ამერიკის ტელევიზიით

ნიუ-იორკი, 10 ოქტომბერი. სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის პრეს-ჯგუფი იუწყება: 9 ოქტომბერს 21 საათზე ნიუ-იორკის დროით, როცა მოსკოვში თენდებოდა, ამერიკის ტელევიზიით დაიწყო ნ. ს. ხრუშჩოვის გამოსვლა. უკვე კარგა ხნით ადრე ამ დრომდე მილიონობით ამერიკელმა იცოდა, რომ გაიმართებოდა საბჭოთა მთავრობის მეთაურის ასეთი გამოსვლა, და სატელევიზიო კომპანია „ენტა“-ში შემოვიდა მრავალი შეკითხვა სხვა სატელევიზიო კომპანიებისა და რადიოკომპანიებისაგან თხოვნით ნება დაერთოთ გადაეცათ ნ. ს. ხრუშჩოვის ეს გამოსვლა. ამავე დროს გამოსვლა ტრანსლირებული იყო ამერიკის შეერთებული შტატების ექვს უდიდეს ქალაქში. უფრო გვიან გამოსვლა გადაცემულ იქნება 50 სხვა არხით და 200 რადიოსადგურით. გარდა ამისა, ავსტრალიის, კანადისა და ბრიტანეთის რადიომაუწყებლობამ ითხოვეს ამ გამოსვლის გადაცემის ნებართვა.

როცა დადგა ნ. ს. ხრუშჩოვის საუბრის ჟამი, მილიონობით ამერიკელი შეიკრიბა ტელევიზორებთან, რათა მოესმინა გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური ასამბლეის XV სესიაზე საბჭოთა დელეგაციის მეთაურის, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის გამოსვლა.

პრეს-ჯგუფს ქვემოთ მოჰყავს ნ. ს. ხრუშჩოვის ამ საუბრის ჩანაწერის სრული ტექსტი. საუბარი მიმდინარეობდა დიალოგის ფორმით ამერიკის შეერთებული შტატების ერთ-ერთ ცნობილ რადიოკომენტატორთან დ. სასკაინდთან.

ურთიერთ მისალმების შემდეგ **დ. სასკაინდი** მიმართავს ნ. ს. ხრუშჩოვს და ეკითხება:

— როცა იძინებთ, გრძნობთ, რომ კაცობრიობის ბედი ბევრად დამოკიდებულია თქვენზე, თქვენს მიმართებაზე, თქვენს გუნება-განწყობაზე? მითხარით, მშვიდად გძინავთ, როცა ეს იცით?

ნ. ს. ხრუშჩოვი. მე ყოველთვის მშვიდად მძინავს.

დ. სასკაინდი. მაგრამ უდიდესი პასუხისმგებლობის გრძნობა იმ თაობის წინაშე, რომელიც ჯერ არ დაბადებულა?

ნ. ს. ხრუშჩოვი. იცით რა, ჩვენ ყოველ ღონეს ვხმარობთ, რომ ომი არ იყოს. ჩვენი ქვეყანა მშვიდობიან მშენებლობას ეწევა. განახავთ, რას ვაკეთებთ.

დ. სასკაინდი. მე ძლიერ მსურს, და განსაკუთრებით მსურს ვნახო კავშირგაბმულობის ორგანიზაცია.

დღეს ჩვენს გამოსვლას ხედავენ ყველანი. ბევრს მიაჩნია, რომ თქვენ არ უპასუხებთ კითხვებზე, მაგრამ მე ეს არ მჯერა.

ნ. ს. ხრუშჩოვი. გააჩნია, რა კითხვებზე. ყოველ გონივრულ კითხვაზე ვუპასუხებ.

დ. სასკაინდი. იეს, — ეს ამერიკელებში ნიშნავს — დიახ, კარგია. ხოლო როცა სურთ თქვან მშვენიერიაო, ამბობენ — ო'კეი!

ნ. ს. ხრუშჩოვი. ვფიქრობ, რომ როგორც კითხვები, ისე პასუხები შევუგუოთ ისე, რომ სასარგებლო იყოს ჩვენს ქვეყნებს, ესე იგი სსრ კავშირსა და ამერიკას შორის, მსოფლიოს ყველა ქვეყნებს შორის ურთიერთობის გაუმჯობესებისათვის.

თუ ისეთი კითხვები იქნა, რომლებიც ამ პრინციპს არღვევენ, მაშინ პასუხს არ გავცემ. შეიძლება ყველა კითხვაზე პირდაპირ არ ვუპასუხო, მაგრამ პასუხს თავს არ ავარიდებ, ასე რომ თქვენს კითხვებზე უსათუოდ მოგცემთ საფუძვლიან პასუხს.

დ. სასკაინდი. ბატონო ხრუშჩოვ, მსურს გადაცემის დაწყებამდე დავარწმუნოთ, რომ კითხვები, რომლებსაც მოგცემთ, ისეთი კითხვებია, რომლებზეც ბევრი ფიქრობს.

ნ. ს. ხრუშჩოვი. გთხოვთ მომცეთ ისეთი კითხვები, რომლებიც ხელს შეუწყობენ ჩვენი ურთიერთობის გაუმჯობესებას.

დ. სასკაინდი. ვიმეორებ, ჩვენ გვაქვს ერთი კარგი სიტყვა — „იეს“, ეს ნიშნავს „დიახ“.

ნ. ს. ხრუშჩოვი. მეც მსურს თქვენგან გავიგონო „დიახ“.

დ. სასკაინდი. სრულიად გაუგებარია, როგორ შეიძლება ისეთი ადამიანი, რომელსაც ასეთი იუმორი აქვს, ჰგვრიდეს შიშს ომის წინაშე. ჩვენ გვასწავლიდნენ, კარგი იუმორი ყველაზე დადებითი თვისებააო.

ნ. ს. ხრუშჩოვი. სწორია. თუ მე შიშს გგვრით, მაშასადამე, ცუდად ფიქრობთ ჩემზე და ჩემს ქვეყანაზე.

დ. სასკაინდი. აქ ახლა თქვენ არა გვგვრით ამ შიშს, მაგრამ როცა სიტყვას ამბობთ, მაგალითად გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში, ეს ხდება. ჩვენ რომ შეგვეძლოს აქ დარჩენა, მაშინ მსოფლიო სრულ უშიშროებაში იქნებოდა.

ნ. ს. ხრუშჩოვი. თქვენ სცდებით.

დ. სასკაინდი. ბატონო ხრუშჩოვ! დიდი ბრიტანეთის პრემიერ-მინისტრმა მაკმილანმა გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალურ ასამბლეაში გამოსვლისას თქვა, მომყავს მისი სიტყვები: „საზოგადოებრივი აზრი ღრუბელი მეტისმეტად გაჟღენთილია სხვადასხვა ლოზუნგით და მოწოდებით, და ახლა ბევრს სურს იცოდეს საქმის ნამდვილი მდგომარეობა ისე, რომ არ გამეორდეს ასეთი მოწოდებანი და ლოზუნგები“.

ჩვენი ადამიანები, ჩვენი ქვეყნის ხალხი დაინტერესებული არიან სწორი, ობიექტური ინფორმაციის მიღებით, და იმისათვის, რომ უზრუნველვყოთ ისინი ასეთი ინფორმაციით, ჩვენ მოვაწყეთ ეს პროგრამა.

ახლა მინდა მოგცეთ პირველი კითხვა. თქვენ, ცხადია, იცით პირადი დაკვირვებით და იმ ცნობებიდან, რომლებსაც ჩვენს ქვეყანაში თქვენი ოფიციალური წარმომადგენლები გიგზავნიან, რომ ჩვენს ხალხს სწამს მშვიდობა, მაგრამ მშვიდობა ღირსეული. თქვენ აგრეთვე, უთუოდ, იცით, რომ ჩვენს ქვეყანაში არსებობს მთავრობა, რომელსაც ხალხი ირჩევს და რომელსაც სრული პასუხისმგებლობა აკისრია ხალხის წინაშე. რატომღა გინდათ დაამკვიდროთ ის მითი, რომ ამერიკელ ხალხს, ამ მშვიდობისმოყვარე ხალხს, რომელსაც აქვს საკმაოდ მშვიდობისმოყვარული განზრახვა, ჰყავს იმპერიალისტური მთავრობა, რომელიც ტყუის და ომს აღვივებს. ფაქტი ის არის, და თქვენ, უეჭველია, იცით, რომ ამერიკელი ხალხი და ამერიკის მთავრობა — იქნება იგი რესპუბლიკური თუ დემოკრატიული მთავრობა — ერთიანი არიან და არავითარი ვიწრო ინტერესი, არავითარი სურვილი არა აქვთ დაარღვიონ სხვა ქვეყნის სუვერენიტეტი ან გააფართოონ თავისი ტერიტორია რომელიმე ქვეყნის ხარჯზე.

ნ. ს. ხრუშჩოვი. კითხვა, რომელსაც თქვენ ჩემს წინაშე აყენებთ, მარტივი როდია, და ყოველგვარ პასუხს მასზე შეუძლია გამოიწვიოს არასწორი დასკვნების, არასწორი განმარტების საბაბი. მაგრამ ვეცდები ისე გიპასუხოთ, რომ საკითხის არსს არ დავშორდე.

ჩვენი სახელმწიფო წყობილების სისტემებსა და ჩვენს მთავრობებზე თუ ვილაპარაკებთ, აქ მე არაფერს არ დავძენ იმას, რაც თქვენ თქვით თქვენს მთავრობასა და თქვენს სისტემაზე. თქვენს მთავრობას აკისრია პასუხისმგებლობა გარკვეული სახელმწიფო ინსტიტუტების წინაშე. მაგრამ ამასთან დაკავშირებით მინდა ვთქვა, რომ, როგორც ჩანს, ცუდად იცნობთ ჩვენს, საბჭოთა სახელმწიფო სისტემას.

ჩვენი სისტემა ყველაზე დემოკრატიულია. ჩვენში სახელმწიფოს ხელმძღვანელობენ ამორჩეული ადამიანები და ყველა ეს ადამიანი პასუხს აგებს ხალხის წინაშე, უშუალოდ ხალხის წინაშე. ჩვენს საკანონმდებლო და აღმასრულებელ ორგანოებში ირჩევენ მშრომელ ადამიანებს — მუშებს, გლეხებს, ინტელიგენციას. აი თვითონ მეც ასეთი მაგალითი ვარ. მე მუშა ვარ, მამაც მუშა მყავდა, პაპა გლეხი იყო. სულ მცირე ასაკიდან შრომას ვეწეოდი. ჩემი ბეჯითობისა და იმის შედეგად, რომ ვცდილობდი სასარგებლო ვყოფილიყავი საზოგადოებისათვის, ხალხისათვის, ასეთ ხელმძღვანელ პოსტებზე დამაწინაურეს.

მაგრამ მე არა მსურს ახლა დავიწყო დავა იმაზე, ვისი მთავრობა უფრო წარმომადგენლობითია და ვისი სისტემა უფრო დემოკრატიულია. ასეთი დავა რომ დავიწყოთ, მე ვაქებ ჩემს სახელმწიფოს, ჩემს კონსტიტუციას, თქვენ კი — თქვენს სახელმწიფოს. მე ეს არა მსურს, რადგან მაშინ გავამწვავებდით ჩვენს ურთიერთობას. ჩვენ გვსურს ვიცხოვროთ და ვიცხოვრებთ ჩვენს წყობილებაში, ჩვენი სისტემის დროს. თქვენ იცხოვრეთ თქვენსაში. თქვენ მოგწონთ თქვენი სისტემა, — ეს თქვენი საქმეა. ჩვენ მოგვწონს ჩვენი წყობილება, — ნუ გვიშლით ხელს ვიცხოვროთ ჩვენებურად, როგორც ჩვენს ხალხს სურს.

დ. სასკაინდი. რა სამწუხაროა, რომ არ მესმის ის, რასაც თქვენ ამბობთ.

ნ. ს. ხრუშჩოვი. თარჯიმანი გადაგითარგმნით.

დ. სასკაინდი. მე მინდა ბოდიში მოვიხადო ბატონ ხრუშჩოვის წინაშე და შევნიშნო, რომ მან სრულად არ მიპასუხა ჩემს კითხვაზე. ჩვენ ერთმანეთს არ უნდა შევადაროთ ჩვენი სისტემები ან მთავრობები. მე მინდოდა მხოლოდ მეკითხა: რატომ გაგყავთ ასეთი მკვეთრი მიჯნა ჩვენს ხალხსა და ჩვენს მთავრობას შორის, როცა ამბობთ, რომ ამერიკელი ხალხი მშვიდობისმოყვარეა, მაშინ როცა ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობა ომის გამჩაღებელიაო? უნდა გითხრათ, რომ ჩვენი მთავრობა სავსებით გამოხატავს ხალხის გრძნობებსა და აზრს. ხალხი და მთავრობა ჩვენს ქვეყანაში ერთიანი არიან. ხალხი და მთავრობა ჩვენს ქვეყანაში მშვიდობისმოყვარენი არიან. და ესწრაფვიან მხოლოდ ერთ მიზანს — ღირსეულ მშვიდობას.

ნ. ს. ხრუშჩოვი. თქვენ ცოტა ჩქარობთ. მე გიპასუხეთ მხოლოდ თქვენი კითხვის პირველ ნაწილზე, მეორეზე კი ჯერ არ მიპასუხნია, ამიტომ ახლა გიპასუხებთ. მაგრამ ჯერ დაე გადაგითარგმნონ ის, რაც უკვე გითხარით და მაშინ გიპასუხებთ თქვენი კითხვის მეორე ნაწილზე.

ნუ ჩქარობთ. თუმცა თქვენ ფიცხი კაცი ხართ, მე კი ახალგაზრდა არა ვარ, მაგრამ ჯერ კიდევ შევეჯიბრებით პასუხში. ერთი წუთით, თქვენ რა, გსურთ გამისწროთ თქვენი ასაკის წყალობით!

ჰოდა, ჯერ-ერთი, თქვენ გსურთ ჩამითრიოთ დისკუსიაში თქვენი მთავრობის შესახებ. მაგრამ მე მიმაჩნია, რომ არ უნდა ჩავება ასეთ საქმეში, იმიტომ რომ ეს არის თქვენი მთავრობა და დაე თქვენს მთავრობაზე იმსჯელოს ამერიკელმა ხალხმა. მე რომ ახლა ასეთ თემაზე დავიწყო მსჯელობა, ეს იქნება ჩარევა ამერიკელი ხალხის საქმეებში. მე ეს არა მსურს, იმიტომ რომ შეიძლება არასწორად გამიგონ.

გეტყვით შემდეგს. ჩვენ ვამბობთ, რომ ჩვენი მთავრობა, ესე იგი საბჭოთა კავშირის მთავრობა, რომელსაც მე ვმეთაურობ როგორც მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე, — ყველაზე მშვიდობისმოყვარე მთავრობაა მსოფლიოში. თქვენ ამბობთ და მე მჯერა, რომ ამერიკელი ხალხიც მშვიდობისმოყვარეა. მაშასადამე, თქვენი მთავრობაც მშვიდობისმოყვარეაო. მაგრამ მაშინ მე მოგცემთ ასეთ კითხვას. შარშან მე ვიყავი თქვენი მთავრობის სტუმარი. დიდი კმაყოფილებით მივიღე პრეზიდენტის ბ-ნ ეიზენჰაუერის მოწვევა. შეერთებულ შტატებში ჩამოვედი უაღრესად კეთილი განზრახვით, სურვილით პირადი კონტაქტი დამემყარებინა პრეზიდენტთან. მე თუმცა წინათაც შევხვედრივარ მას — მსურდა განმეახლებინა ნაცნობობა. ჩემი გამომგზავრების მიზანი ის იყო, რომ ხელი შემეწყო ჩვენი ხალხებისა და ჩვენი მთავრობების უკეთესი ურთიერთობის შექმნისათვის. მე მსურდა პირადადაც დამემყარებინა მეგობრული ურთიერთობა თქვენს პრეზიდენტთან. მე მასთან ძალიან კარგად ვსაუბრობდი. ბატონმა პრეზიდენტმა ეს იცის. როცა ერთხელ ჩვენ სუფრას ვუსხედით და ყავას ვსვამდით, მან ასეთი სიტყვებით მომმართა: მაი ფრენდ. მე ეს სიტყვები არ ვიცოდი. პრეზიდენტმა მითხრა. გთხოვთ ის სიტყვები ისწავლოთო. ეს ნიშნავს ჩემო მეგობარო.

მე ვუთხარი: კარგი-მეთქი და ვუპასუხე პრეზიდენტს — ჩემო მეგობარო, მაი ფრენდ. ყველაფერი კარგად იყო. მე პატივით გამაცილეს. ჩემს ქვეყანაში მივედი და მოვახსენე ჩემს ხალხს, რომ ჩვენს შორის მყარდება ისეთი პირობები, რომლის დროსაც შესაძლებელია კარგი ურთიერთობა ამერიკასთან-მეთქი. ეს კი ჩვენი ადამიანების, საბჭოთა მთავრობის, მთელი ხალხის ოცნებაა. იმიტომ რომ, თუ ჩვენსა და ამერიკას შორის კარგი ურთიერთობა იქნა, მაშასადამე, იქნება მშვიდობა, იქნება მშვიდობა ჩვენს შორის და მთელს მსოფლიოში.

მერე რა ქნა თქვენმა მთავრობამ ამის შემდეგ. იმის წინ, როცა პარიზში უნდა შევხვედროდით ერთმანეთს, თქვენმა მთავრობამ ჯაშუშური თვითმფრინავი „უ-2“ გამოგზავნა ჩვენი ქვეყნის ფარგლებში. შემდეგ თქვენმა მთავრობამ მეორეჯერ გამოგზავნა მზვერავი თვითმფრინავი „რბ-47“, და ეს მეორე თვითმფრინავიც ჩამოვაგდეთ. ჩვენ ვთქვით, ეს არ ვარგა, განა ასე შეიძლება მეგობრობათქო. თქვენ წარმოიდგინეთ, ჩვენ რომ თვითმფრინავი გამოგვეგზავნა ამერიკაში და მას გადაეფრინა ნიუ-იორკისათვის, ვაშინგტონისათვის. რა იქნებოდა მაშინ? თქვენ იტყოდით. ხრუშჩოვი ჩვენში ჩამოვიდა, ამერიკული პურმარილი მიიღო, კარგ სიტყვებს გველაპარაკებოდა, ხოლო საპასუხოდ ჯაშუშური თვითმფრინავი გამოგვიგზავნაო. თქვენ როგორ მიიჩნევდით ამას, კარგ თუ ცუდ აქტად? და აი ჩვენ გავიგეთ — ამერიკის მთავრობას არა აქვს გულწრფელობა, იმიტომ რომ აგრესორი თვითმფრინავის გამოგზავნა ხელს არ უწყობს ჩვენი ურთიერთობის გაუმჯობესებას, ხელს არ უწყობს მშვიდობის საქმეს, არამედ, პირიქით, ხელს უწყობს ვნებათა ღელვას, ურთიერთობის გამწვავებას. თუ ასეთი ფრენა მოხდება ხოლმე, ამას შეუძლია ომი გამოიწვიოს.

თვითონვე განსაჯეთ — ვინ მოითხოვს მშვიდობას, ვინ იბრძვის კარგი ურთიერთობისათვის და ვის არა სურს ეს ურთიერთობა, ვინ ამწვავებს თავისი მოქმედებით ვითარებას და ვის მიჰყავს მსოფლიო ომის ზღვარზე.

ამით მე გიპასუხებთ არა მარტო თქვენ, არამედ ყველას, ვინც მისმენს. ჩვენ ახლა ვდგავართ საზოგადოებრიობის სამსჯავროს წინაშე. ჩვენ პატიოსანი ადამიანები ვართ, პირობა დავდეთ ვიმეგობროთ და ვასრულებთ პირობას, არაფერს არ ვშვრებით ამერიკის საზიანოდ. თქვენ კი შემოგზავნეთ ჩვენში ჯაშუშური თვითმფრინავები.

დ. სასკაინდი. ბატონო ხრუშჩოვ, „უ-2“ თვითმფრინავის ფრენა იმ საქმიანობის ნაწილია, რომელსაც ინტენსიურად ახორციელებენ თქვენი მთავრობაც და ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობაც. ეს ნაწილია იმ საქმიანობისა, რომელიც მიზნად ისახავს ინფორმაციის შეგროვებას ჩვენი ქვეყნების უშიშროების ინტერესებისათვის. საუკეთესო პასუხი იმისა, რაც თქვენ თქვით, ჩემი აზრით, არის ის გარემოება, რომ ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტმა ბრძანება გასცა შეწყდეს ასეთი ფრენა. მოდით შოლტვას ნუ დავუწყებთ მკვდარ ცხენს. ვფიქრობ, უმჯობესია საბჭოთა კავშირმა საერთაშორისო ურთიერთობის გაუმჯობესების ინტერესებისათვის, ჯერ-ერთი, დაასამაროს „უ-2“ თვითმფრინავის ინციდენტი და თავი დაანებოს მის გაღვივებას, და, მეორეც, დათანხმდეს იმ საერთაშორისო არბიტრაჟს „რბ-47“ თვითმფრინავის ინციდენტის თაობაზე, რომელსაც მოითხოვს ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობა.

ნ. ს. ხრუშჩოვი. როგორც მოგეხსენებათ, ყოველგვარი ურთიერთობა, რაც უნდა გამწვავდეს, დროთა ვითარებაში კარგავს ამ სიმწვავეს. როგორც უნდა ბობოქრობდეს ოკეანე, ადრე თუ გვიან დგება თავის კალაპოტში. შტორმის შემდეგ ყოველთვის შტილი მყარდება. და ალბათ, „უ-2“ თვითმფრინავის საკითხიც ასე მოისპობა. მაგრამ თქვენ არასწორად გესმით ეს კითხვა.

ის, რომ პრეზიდენტმა გააუქმა ფრენა, კარგია. მაგრამ ნამდვილად ასეა? სინამდვილეში ჯაშუშური ფრენა ჯერ კიდევ არ გაუქმებულა. მე ამის შესახებ შემიძლია დამატებით გითხრათ რამე. მაგრამ ყველაზე უკეთესი იქნებოდა, რომ თქვენ საერთოდ არ გზავნიდეთ „უ-2“, „რბ-47“ თვითმფრინავებს. თქვენ ამბობთ, რომ „უ-2“ თვითმფრინავი მკვდარი ცხენია. არა, ეს არ არის მკვდარი ცხენი. თუ თქვენი ჯაშუშური თვითმფრინავები იფრენენ ჩვენს ქვეყანაში, ჩამოვაგდებთ მათ და შეიძლება დაიწყოს ომი. თუ თქვენ თავს ნებას მისცემთ დაარღვიოთ ჩვენი სუვერენიტეტი და შემოიჭრებით ჩვენი ქვეყნის ფარგლებში, იძულებული გავხდებით მივიღოთ საპასუხო ღონისძიებანი. ამას, დამეთანხმებით, სამხედრო კონფლიქტის სუნი ასდის.

მას შემდეგ, რაც პრეზიდენტმა თქვა, რომ გააუქმა ჯაშუშური ფრენა, განხორციელდა „რბ-47“ თვითმფრინავის შემოჭრა, — რაც ჯაშუშური ფრენის გაუქმება კი არა, მისი გამეორებაა.

უფრო მეტსაც გეტყვით. სამხედრო თუ სადაზვერვო ორგანოები გენერალურ ასამბლეაზე ჩემი გამომგზავრების წინ ემზადებოდნენ იმისათვის, რომ ჩვენში შემოეგზავნათ კიდევ ერთი ჯაშუშური თვითმფრინავი. ჩვენ შევიტყვეთ ეს და მე თქვენს ელჩს მოსკოვში ბ-ნ ტომპსონს ვუთხარი:

— თქვენ ემზადებით იმისათვის, რომ ჩვენში შემოგზავნოთ ახალი ჯაშუშური თვითმფრინავი. ჩვენ ვიცით ეს. თქვენ გინდათ შემოგზავნოთ იგი 25 ათას მეტრ სიმაღლეზე. ჩვენ მომზადებული ვართ, და თუ თვითმფრინავს გამოუშვებთ, გაფრთხილებთ, რომ ამ საქმეს არც თუ ისე კარგი შედეგი მოჰყვება. თვითმფრინავი არ შემოუგზავნიათ. ვფიქრობ, რომ ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობამ გააუქმა ეს ფრენა.

ერთ რამეში გეთანხმებით — მოდით, ნუ გავაღვივებთ ვნებათაღელვას ამ საკითხში. ახლა თქვენ გვთხოვთ, რომ ჩვენ დავთანხმდეთ საერთაშორისო არბიტრაჟზე „რბ-47“ თვითმფრინავის საკითხში. ამაზე ვერ დავთანხმდებით. თქვენ გსურთ, რომ ჩვენი საშინაო სახელმწიფო საკითხები გადაჭრას რაღაც საერთაშორისო არბიტრაჟმა. ამ შემთხვევაში ყველაზე უკეთესი არბიტრაჟი ერთია — ერთმანეთში არ უნდა ვგზავნიდეთ ჯაშუშურ თვითმფრინავებს. რა საჭიროა ეს. მოდით ვიმეგობროთ, მოდით ნუ ვავნებთ ერთმანეთს, მოდით ნუ დავარღვევთ სხვა ქვეყნების სუვერენიტეტს.

ნ. ს. ხრუშჩოვი და ამერიკელი რადიოკომენტატორი დ. სასკაინდი ამერიკის ტელევიზიით გამოსვლის წინ.
ფოტო საკდესის სპეციალური ფოტოკორესპონდენტის ვ. ეგოროვისა. (სურათი მიღებულია ფოტოტელეგრაფით)

დ. სასკაინდი. „რბ-47“ თვითმფრინავის საქმე საშინაო საკითხი როდია. თქვენ ხომ ამტკიცებთ, რომ ამერიკის შეერთებულმა შტატებმა დაარღვიეს საბჭოთა კავშირის სუვერენიტეტი. ჩვენ უარვყოფთ ამ ფაქტს. ამრიგად, ეს არის სადავო საკითხი ორი სახელმწიფოს ურთიერთობაში. განა გაერთიანებული ერების ორგანიზაცია არ არის ისეთი ფორუმი, რომელიც გამოდგება საერთაშორისო არბიტრაჟად, განა თქვენი უარი — დათანხმდეთ ასეთ საერთაშორისო არბიტრაჟზე — „ცივი ომის“ პოლიტიკის განხორციელებაში თქვენი ურყეობის მაჩვენებელი არ არის?

ნ. ს. ხრუშჩოვი. როგორ, რას ამბობთ, ჩემო კეთილო ბატონო, ეს როგორ შეიძლება, თქვენ შემოგზავნეთ „უ-2“ თვითმფრინავი და აგრეთვე უარყოფდით, რომ შემოგზავნეთ იგი. თქვენ თქვით, ეს თვითმფრინავი არ გამოგვიგზავნიათ. მხოლოდ მაშინ, როცა ჩვენ წარმოგიდგინეთ ნივთიერი საბუთები, გიჩვენეთ მფრინავი, გითხარით, რომ ეს თვითმფრინავი ჩამოგდებულ იქნა სვერდლოვსკის რაიონში, მხოლოდ მაშინ აღიარეთ ჯაშუშური ფრენის ფაქტი და არა მარტო აღიარეთ, არამედ განაცხადეთ, რომ ეს თქვენი უფლებაა, უფლება კვლავაც გზავნოთ ჯაშუშური თვითმფრინავები. და აი, ჩვენს საჰაერო სივრცეში გამოჩნდა „რბ-47“ თვითმფრინავი. ბუნებრივია, რომ ისიც ჩამოვაგდეთ. ყველაზე უკეთესი იქნებოდა ვიცავდეთ კარგ წესს, რომელიც რუსმა მწერალმა გრიბოედოვმა გამოთქვა თავის პიესაში „ვაი ჭკუისაგან“: კარგი იქნებოდა სასიყვარულო ადგილი მოშორებით აგვერჩიათ. მეც მინდა გავიმეორო ეს ამერიკის თვითმფრინავების ფრენის თაობაზე — კარგი იქნებოდა ასეთი ფრენისათვის ტრასა ჩვენი საზღვრების მოშორებით აგვერჩიათ. ეს სასარგებლო იქნებოდა, და არ მოხდებოდა კონფლიქტები, არ გაფუჭდებოდა ჩვენი ურთიერთობა. ჩვენ ხომ გვინდა ვიცხოვროთ თქვენთან მშვიდობითა და მეგობრობით!

დ. სასკაინდი. ამ პასუხში გამოსჭვივის რაღაც პროგრესი.

ნ. ს. ხრუშჩოვი. დიახ, ჩვენი ყველა პასუხი პროგრესს შეიცავს.

დ. სასკაინდი. როგორც ჩანს, მხოლოდ დღეს.

ნ. ს. ხრუშჩოვი. ერთ წუთს მოითმინეთ. თქვენ შემოგვთავაზეთ, რომ გაერთიანებული ერები იყოს არბიტრი „რბ-47“ თვითმფრინავის საქმეში. ჩვენ დავინახეთ გაერთიანებული ერების არბიტრაჟის კარგი მაგალითი კონგოში. მაგრამ ჩვენ კონგო როდი ვართ. ჩვენ საბჭოთა კავშირი ვართ. ამიტომ გთხოვთ პატივი სცეთ ჩვენს სუვერენიტეტს! თუ პატივს არ სცემენ ჩვენს სუვერენიტეტს, თვითონვე შეგვიძლია ღირსეულად დავიცვათ იგი.

დ. სასკაინდი. მე ვგრძნობ, რომ თქვენს ღიმილში იმალება რკინისებური და ურყევი ნებისყოფა.

ნ. ს. ხრუშჩოვი. იმალება ლოგიკა და სიმართლე.

დ. სასკაინდი. მაშინ ჩვენ სხვადასხვა ენაზე ვლაპარაკობთ.

ნ. ს. ხრუშჩოვი. ჩემი აზრით, ინგლისურადაც სიტყვა ლოგიკა ისევე გაისმის, როგორც რუსული — ლოგიკა.

დ. სასკაინდი. ვფიქრობ, რომ თქვენ ნახეთ მშვენიერი ილუსტრაცია გაერთიანებული ერების ორგანიზაციის საქმიანობისა კონგოში.

ნ. ს. ხრუშჩოვი. არ მინდა კვლავ დავუბრუნდეთ ამ საკითხს. მე ამის შესახებ დაწვრილებით ვილაპარაკე გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალურ ასამბლეაზე და ახლა არ მინდა დრო წავართვა პატივცემულ მსმენელებს. ვისაც სურს იცოდეს ჩვენი თვალსაზრისი ამ საკითხში, შეუძლია დაუბრუნდეს ჩემს სიტყვას, რომელიც ერთ-ერთ ამერიკულ გაზეთში გამოქვეყნდა.

დ. სასკაინდი. ნება მიბოძეთ მოგცეთ შეკითხვა, რომელზეც გთხოვთ მიპასუხოთ „ჰო“ ან „არა“. მზად ხართ თუ არა საბჭოთა კავშირ-ამერიკის ურთიერთობის გაუმჯობესების ინტერესებისათვის „რბ-47“ თვითმფრინავის ინციდენტი წარუდგინოთ საერთაშორისო არბიტრაჟს?

ნ. ს. ხრუშჩოვი. არა!

დ. სასკაინდი. საუბრის დაწყებისას მე შეგასწავლეთ, თუ როგორ წარმოითქმება ინგლისურად სიტყვა „დიახ“ — „იეს“.

ნ. ს. ხრუშჩოვი. სიამოვნებით გავიმეორებ ამ სიტყვას, როცა მომცემთ შესაბამის კითხვას. რომ გეთქვათ, თავს დავანებებთ საბჭოთა კავშირის ფარგლებში ფრენას და კონფლიქტების პროვოცირებასო, ამაზე გიპასუხებდით — კარგია.

დ. სასკაინდი. ჩვენ შევწყვიტეთ ეს ფრენა.

ნ. ს. ხრუშჩოვი. მოდით, ხელს ჩამოგართმევთ. თუ თქვენ შეწყვიტეთ ასეთი ფრენა და პრეზიდენტიც იზიარებს თქვენს განცხადებას, ძალიან კარგი, გიპასუხებთ „იეს“.

დ. სასკაინდი. შეიძლება დროის შემოკლების ინტერესებისათვის კითხვები მაშინვე ვთარგმნოთ?

ნ. ს. ხრუშჩოვი. ეს თქვენი ამერიკული ტექნიკა მოიკოჭლებს. ჩამოდით ჩვენში, ჩვენ ისე მოვაწყობთ, რომ თარგმნა მაშინვე წარმოებდეს — რუსულ ენაზე ლაპარაკთან ერთად.

(გაგრძელება მე-2 გვერდზე)

კორეაში ნ. ს. ხრუშჩოვის ვიზიტის ვადის გადადების შესახებ

ამა წლის 12 აგვისტოს გამოქვეყნდა ცნობა, რომ კორეის შრომის პარტიის ცენტრალური კომიტეტისა და კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობის მიწვევის შესაბამისად ამხ. ნ. ს. ხრუშჩოვი კორეის სახალხო-დემოკრატიულ რესპუბლიკაში ჩავიდოდა ამა წლის ოქტომბრის დამდეგს.

ერთი მხრივ სკკპ ცენტრალურ კომიტეტსა და საბჭოთა მთავრობას და, მეორე მხრივ, კორეის შრომის პარტიის ცენტრალურ კომიტეტსა და კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობას შორის ურთიერთ შეთანხმებით ცნობილ იქნა მიზანშეწონილად გადაიდოს კორეის სახალხო-დემოკრატიულ რესპუბლიკაში სკკპ ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივნისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის ნ. ს. ხრუშჩოვის ვიზიტი. ამ ვიზიტის ახალი ვადა უფრო გვიან გამოცხადდება.

ნ. ს. ხრუშჩოვის საუბარი

(გაგრძელება)

დ. სასკაინდი. თავის სიტყვაში გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალურ ასამბლეაში პრეზიდენტმა ეიზენჰაუერმა თქვა: „ჩვენ მიგვაჩნია, რომ ყოველი ადამიანის ის უფლება, რომ საკუთარი ხმის საშუალებით მიიღოს მონაწილეობა თვითმმართველობაში, ისევე მშვენიერია, როგორც აქ წარმოდგენილი თვითეული ქვეყნის უფლება — ხმა მისცეს თავისი მრწამსის შესაბამისად ამ ასამბლეაში.

მე მინდა ვნახო მსოფლიო პლებისციტი, რომლის დროსაც ყოველ ადამიანს მსოფლიოში მიეცემოდა შესაძლებლობა თავისუფლად და საიდუმლოს დაცვით ეპასუხა შემდეგ კითხვაზე: „გსურთ თუ არა გქონდეთ თვითმმართველობის უფლება“?

გომულკამ თავის სიტყვაში გენერალურ ასამბლეაზე მხარი დაუჭირა პრეზიდენტ ეიზენჰაუერის წინადადებას და თქვა: მე ვემხრობი იმ იდეას, რომ შევიტყოთ მსოფლიოს ყველა ხალხის აზრი იმ პრობლემებზე, რომლებიც ყველაზე უფრო მჭიდროდ დაკავშირებულია უფლებასთან მართო საკუთარი ქვეყანა და გადაჭრა მისი ბედი.

ჩვენ დავეთანხმებოდით მსოფლიო პლებისციტის მოწყობას, რომელიც განხორციელდებოდა გაერთიანებული ერების ორგანიზაციის მეთვალყურეობით და რომლის დროსაც ყველა ხალხი უპასუხებდა კითხვაზე, თუ რა აზრისაა თვითმმართველობის, მშვიდობისა და განიარაღების შესახებ?

ნ. ს. ხრუშჩოვი. კარგი კითხვაა. მაგრამ მიპასუხეთ, გეთაყვა, რამდენი წლისა ხართ.

დ. სასკაინდი. 39.

ნ. ს. ხრუშჩოვი. ახალგაზრდა კაცი ხართ. მე შვილები თქვენზე უფროსები მყავს. თქვენ, როგორც ჩანს, ცუდად იცით ისტორია. როცა ოქტომბრის რევოლუცია მოხდა, ჩვენს ქვეყანაში სამხედრო დესანტები გადმოსხეს ამერიკამ, ინგლისმა, საფრანგეთმა, გერმანიამ, იაპონიამ. და მათ თავს მოგვახვიეს სამოქალაქო ომი, ინტერვენცია. ეს იყო საყოველთაო-სახალხო გამოკითხვა, რა წყობილება სურთ ჰქონდეთ ჩვენი ქვეყნის ხალხებს.

ჩვენ ვომობდით, ესე იგი გამოვკითხავდით, ოთხ წელიწადს. თეთრგვარდიელებმა, მეფის არმიის გენერლებმა ხელთ იგდეს ციმბირი, უკრაინა, ბელორუსია, ისინი მოვიდნენ ტულამდე, 150 კილომეტრზე იყვნენ მოსკოვიდან. მაგრამ რუსმა ხალხმა, უკრაინელმა ხალხმა, ბელორუსმა ხალხმა — საბჭოთა კავშირის ყველა ხალხმა აიღო ცოცხი და ოკეანეში გადაგავა ყველა ინტერვენტი: ამერიკელები, ინგლისელები, ფრანგები, გერმანელები. მათ გაჰგავეს მთელი უწმინდურება და თქვეს: „ჩვენს ქვეყანაში აშენდება სოციალიზმი!“. და სოციალიზმი ახლა ჩვენში ძლიერ კარგად ვითარდება, ასე რომ თქვენს პრეზიდენტს დაუგვიანდა ასეთი საკითხის დასმა ჩვენი ქვეყნის ხალხების წინაშე. ეს საკითხი დასვა ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტმა ვილსონმა ჯერ კიდევ 1918 წელს. 1941 წელს ფაშისტები ვერაგულად დაგვესხნენ თავს, დაიწყეს ომი საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ. ჩვენ ისინი დავამარცხეთ, გავრეკეთ, გავწმინდეთ საბჭოთა მიწა-წყალი დამპყრობთაგან. ახლა ჩვენი ხალხი წარმატებით აშენებს კომუნიზმს.

თუ კარგად გაერკვევით, რა არის სოციალიზმი და კომუნიზმი, თქვენ როგორც კარგ საჭმელს, ვერ მოგაშორებენ მას, ყურებიც რომ ჩაგკიდონ ხელი. ყველაზე კეთილშობილური მოძღვრება არის მოძღვრება კომუნიზმზე.

ვინმემ რომ კიდევ მოისურვოს და თავს მოგვახვიოს ასეთი გამოკითხვა, როგორიც უკვე ორჯერ იყო, ჩვენ თავს არ ავარიდებთ ამას. გავგავთ! ჩვენი მიწა-წყალი წმიდა და ხელშეუხებელია და მხოლოდ ჩვენს ხალხებს, საბჭოთა კავშირის ხალხებს აქვთ უფლება მართონ თავიანთი ქვეყანა. ამავე უფლებას ვცნობთ თქვენთვისაც. ჩვენ არ ვერევით თქვენს საქმეებში. იცხოვრეთ, როგორც გსურდეთ, მაგრამ ნუ ჩაერევით ჩვენს საქმეებში. ჩვენ ვიცხოვრებთ ისე, როგორც გვსურს. რატომ ჩრით ცხვირს ჩვენს ბოსტანში? ვინა გთხოვთ? რაო, ცოტა გაქვთ თქვენი, ამერიკის, საქმე?

დ. სასკაინდი. თქვენ, როგორც იტყვიან, ამაოდ უყეფთ მთვარეს. ჩვენ ვიცით დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის ისტორია...

ნ. ს. ხრუშჩოვი. (აწყვეტინებს მას). განა თქვენში ნორმალურია საუბრის დროს დაუშვათ ისეთი გამოთქმები, როგორიც არის „მთვარისათვის ყეფა“. ჩვენში ეს უზრდელობად ითვლება. მე მამად გეკუთვნით და ჩემთან ასე ლაპარაკი არ შეგფერით, ყმაწვილო. თქვენ გარეგნობა სასიამოვნო გაქვთ, სავსებით ზრდილობიანად კი ვერ ლაპარაკობთ. ჩემდამი ასეთი მოპყრობის ნებას არ მოგცემთ. მე საყეფად როდი ჩამოვსულვარ. მე ვარ მსოფლიოში უდიდესი სოციალისტური სახელმწიფოს მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე და თქვენ კეთილ ინებეთ პატივისცემით მომეპყროთ, ხოლო თუ არ გინდათ ასე მოიქცეთ, ნურც სასაუბროდ მიწვევთ. უნდა იყოს ზრდილობა, თორემ თქვენ მიჩვეული ხართ ყველასთან აგდებულად ლაპარაკს. ჩვენ კი ისეთი სახელმწიფო ვართ, რომ თავს არ დაგაბრიყვებინებთ.

დ. სასკაინდი. ჩვენ არ მოვითხოვთ ასეთი გამოკითხვა მოეწყოს საბჭოთა კავშირში. მაგრამ ჩვენ მიგვაჩნია, რომ არსებობენ აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნების ხალხები, სადაც საჭიროა მოეწყოს პლებისციტი, რომ იმათ ჰქონდეთ უფლება თავისუფლად გამოთქვან აზრი თვითგამორკვევის უფლების შესახებ. როგორც ცნობილია, ეს ქვეყნები დამონებული არიან, ისინი იმყოფებიან საბჭოთა ორბიტაში. ამასთან, ჩვენ მიგვაჩნია, რომ საჭირო არ არის ოქტომბრის რევოლუციის დამოწმება. ჩვენ ახლა 1960 წელში ვცხოვრობთ და საქმე ეხება თავისუფალ პლებისციტს, რომელიმე სახელმწიფოს ჯარების მონაწილეობის მიუღებლად აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებში, აგრეთვე აფრიკისა და აზიის ქვეყნებში.

ნ. ს. ხრუშჩოვი. მაშასადამე, თქვენ მხედველობაში არა გაქვთ ასეთი გამოკითხვა მოაწყოთ საბჭოთა კავშირში?

დ. სასკაინდი. არა.

ნ. ს. ხრუშჩოვი. და მხედველობაში გაქვთ ევროპის ქვეყნები?

დ. სასკაინდი. მე მხედველობაში მაქვს აზიის, აფრიკის, ლათინური ამერიკის ქვეყნები — ყველა ქვეყანა გარდა ჩვენი ორი ქვეყნისა.

ნ. ს. ხრუშჩოვი. ყველა ამ ქვეყანას სუვერენული უფლებები აქვს, თავისი კანონიერი მთავრობა ჰყავს. მოაწყონ თუ არ მოაწყონ ასეთი გამოკითხვა — ამ ქვეყნების ხალხთა და მთავრობათა საქმეა. ჩვენ აქ არაფერ შუაში ვართ, თქვენ მისამართი შეგეშალათ! ხოლო „დამონების“ შესახებ მე არ გიპასუხებთ. ეს ისეთი ნაგავია, რომელიც დიდი ხანია უნდა გამოგეყარათ თავიდან, უნდა გარდაიქმნათ, უნდა გქონდეთ უნარი ისტორია გაიგოთ ისე, როგორც ახლა ხალხები მას წერენ. თორემ თქვენ იქნებით თანამედროვეობაზე ჩამორჩენილი შეხედულების ადამიანი.

დ. სასკაინდი. აი თქვენ ახლა განაცხადეთ: „ეს ნაგავია, რომელიც თავიდან უნდა გამოყაროთ“, — მითხარით, ზრდილობაა ამის თქმა?

ნ. ს. ხრუშჩოვი. არის სიტყვების სწორი გაგება და არის არასწორი. აქ შეურაცხმყოფელი არაფერია. თუ ეს გამოთქმა თქვენ შეურაცხმყოფელად მიგაჩნიათ, მე მზად ვარ წავიღო ეს „ნაგავი“ და გადავყარო.

დ. სასკაინდი. ეს თქვენი მხრივ მომხიბვლელი რამ იქნებოდა.

(ცხადდება შესვენება, რომლის დროსაც დ. სასკაინდი ბოდიშს იხდის ნ. ს. ხრუშჩოვის წინაშე. იგი ამბობს, რომ გამოთქმას, რომელიც იხმარა, საწყენი მნიშვნელობა როდი ჰქონია. ნ. ს. ხრუშჩოვი უპასუხებს, რომ, როგორც ჩანს, ის ამერიკელები, რომლებიც მიეჩვივნენ ასეთი გამოთქმების ხმარებას, — უხეში ადამიანები არიან.

დ. სასკაინდი. მე სრულიადაც არა მქონია განზრახვა შეურაცხყოფა მომეყენებინა თქვენთვის, მაგრამ გამოთქმაც „ნაგავის გამოყრა თავიდან“ სავსებით სწორი არ არის.

ნ. ს. ხრუშჩოვი. თქვენი გამოთქმა კი „მთვარეს უყეფთო“? განა დასაშვებია ასეთი სიტყვები კულტურულ ადამიანებს შორის საუბარში?

დ. სასკაინდი. ჩვენში არის ასეთი გამოთქმა.

ნ. ს. ხრუშჩოვი. მაგრამ მას ხომ თავისი გარკვეული აზრი აქვს. ამიტომაც მიმაჩნია იგი სრულიად დაუშვებლად. შესვენება მთავრდება).

დ. სასკაინდი. ბატონო ხრუშჩოვ, ჟურნალისტებთან შეხვედრის დროს, რომლებიც გაერთიანებული ერების ორგანიზაციის მუშაობას აშუქებენ, 7 ოქტომბერს თქვენ თქვით, რომ დაიცავთ თქვენი ქვეყნის ინტერესებს ამ საერთაშორისო ორგანიზაციის, ესე იგი გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გარეთ და დაინდობით თქვენს ძალას, ამან კი, თავის მხრივ, შეიძლება გამოიწვიოს ურთიერთობის გამწვავება და ომიც კი.

თქვენს წინადადებას იმოქმედოთ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გარეთ და თქვენს შეურიგებელ მისწრაფებას, რომ თავს მოახვიოთ დასავლეთ ბერლინის პრობლემის გადაწყვეტა, შეუძლია გამოიწვიოს ატომური ომის უდიდესი საფრთხე.

მიგაჩნიათ თუ არა თქვენ, რომ დასავლეთ ბერლინის, გერმანიასთან საზავო ხელშეკრულების დადების საკითხის გადაჭრა და თქვენი წინადადება გაერთიანებული ერების ორგანიზაციის რეორგანიზაციის შესახებ იმად ღირს, რომ მოხდეს ატომური ომი, რომელშიც ორივე მხარეს მოსპობა მოელის?

ნ. ს. ხრუშჩოვი. თქვენს კითხვაში იმდენი რამ არის დახვავებული, რომ ღამით მათი მოსმენა საშინელიც კია. მაგრამ შევეცდები გიპასუხოთ ამ კითხვაზეც.

ჯერ ერთი, მე კარგად მახსოვს ის, რაც ვილაპარაკე პრეს-კონფერენციაზე. მე ვთქვი, რომ თუ გაერთიანებული ერების ორგანიზაცია ისევე ცალმხრივად გადაწყვეტს საკითხებს, როგორც ახლა წყვეტს, როცა ამერიკის შეერთებული შტატების ნებით მოქმედებს, იგი დაკარგავს ყველა იმ ქვეყნისა და ხალხის პატივისცემასა და ნდობას, რომლებსაც რაიმე საკითხის გადაჭრა დასჭირდებათ. ასეთ შემთხვევაში ხალხები არ მიმართავენ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის დახმარებას, არამედ ეცდებიან თვითონ გადაჭრან ასეთი საკითხები.

თუ სურთ ჩვენ, საბჭოთა კავშირი, დაგვამცირონ და დამორჩილებული მდგომარეობა შეგვიქმნან გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში, ჩვენ უიმისოდაც იოლად წავალთ, როგორც მიდიოდა იოლად ჩვენი ქვეყანა მრავალი საუკუნის მანძილზე. ეს ნიშნავს, — და მე გთხოვთ ეს კარგად დაიმახსოვროთ, — რომ თუ რომელიმე სახელმწიფო ხელყოფს ჩვენს სუვერენობას და შელახავს ჩვენს ინტერესებს, ამ ინტერესებს დავიცავთ ჩვენი სახელმწიფოს ძალებით. ომითაც კი რომ დაგვემუქრონ, ამისაც არ შეგვეშინდება. ურყევად დავიცავთ ჩვენი ქვეყნის დამოუკიდებლობას, ჩვენს დიად მონაპოვრებს.

გთხოვთ დაიმახსოვროთ ჩვენი პოზიცია ამ საკითხში: ჩვენ არ მოვითხოვთ ჩვენთვის პრივილეგიებს; ჩვენ გვინდა, რომ გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში იყოს თანაბარი პირობები სოციალისტური ქვეყნებისათვის, ქვეყნებისათვის, რომლებიც შედიან ამერიკის შეერთებული შტატების ბლოკში, და ნეიტრალისტური ქვეყნებისათვის. რა არის აქ უსამართლო? ეს სამართლიანია. თუ ეს არ იქნება გათვალისწინებული, მაშინ არა მარტო ჩვენ, არამედ სხვა ქვეყნებიც დაკარგავენ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის პატივისცემას და იგი შეწყვეტს არსებობას, მოკვდება.

(ამ დროს დ. სასკაინდმა სცადა სიტყვა შეეწყვეტინებინა ნ. ს. ხრუშჩოვისათვის და დაეყენებინა მის წინაშე ახალი კითხვა. ნიკიტა სერგის-ძემ ხელით ანიშნა, რომ ჯერ არ დაუმთავრებია თავისი პასუხი და განაგრძო ლაპარაკი).

— თქვენ დასვით დასავლეთ ბერლინის საკითხი, და მე ჯერ არ მიპასუხია ამ კითხვაზე. მე პატიოსანი პარტნიორი ვარ და მინდა გიპასუხოთ ისე, რომ არ დაველოდო თქვენს დამატებით კითხვებს ამის შესახებ.

თქვენ ამბობთ, რომ ჩვენ გვინდა დასავლეთ ბერლინის საკითხი გადავჭრათ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ფარგლებს გარეთ. გერმანიის საკითხი სწორედ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის სფეროს ფარგლებს გარეთ არის. როგორც ცნობილია, ეს მეორე მსოფლიო ომის ნაშთებია. გერმანიასთან საზავო ხელშეკრულების და დასავლეთ ბერლინის საკითხი შეეხება ქვეყნებს, რომლებიც ომობდნენ ჰიტლერული გერმანიის წინააღმდეგ, და არა გაერთიანებული ერების ორგანიზაციას. ამას აღიარებენ ამერიკის შეერთებული შტატები, საფრანგეთი, ინგლისი და საბჭოთა კავშირი. ამ მხრივ უთანხმოებანი არა გვაქვს.

ახლა რაც შეეხება დასავლეთ ბერლინს. რას გვინდა მივაღწიოთ გერმანიის საკითხში? ჩვენ გვინდა დავდოთ საზავო ხელშეკრულება ორ გერმანიასთან. აი უკვე მალე შესრულდება 16 წელი ომის დამთავრების შემდეგ, საზავო ხელშეკრულება კი ჯერ არ არის. თქვენ ეს ნორმალურად მიგაჩნიათ? ყოველი ადამიანი, რომელსაც სურს მდგომარეობის ნორმალიზება ომის შემდეგ, მივა დასკვნამდე, რომ საჭიროა დაიდოს საზავო ხელშეკრულება გერმანიასთან. ჩვენ სწორედ ეს გვსურს.

ორ გერმანულ სახელმწიფოსთან საზავო ხელშეკრულების დადებით, — სხვა გამოსავალი კი, როგორც ჩანს, არ არის, — გადაიჭრება დასავლეთ ბერლინის საოკუპაციო რეჟიმის საკითხიც. ჩვენ კანონზომიერად მიგვაჩნია, რომ დასავლეთ ბერლინს აქვს თავისი სოციალური სისტემა, — იქ არსებობს კაპიტალისტური სისტემა. ჩვენ არ გვინდა ჩავერიოთ დასავლეთ ბერლინის საქმეებში. დაე მისმა მოსახლეობამ იცხოვროს კაპიტალიზმის პირობებში, როგორც ახლა ცხოვრობს, დაე ჰქონდეს თავისი თვითმმართველობა; დაე დასავლეთი ბერლინი იყოს დაკავშირებული ყველა ქვეყანასთან, რომლებთანაც სურს ჰქონდეს ურთიერთობა, მაგრამ საოკუპაციო რეჟიმი დასავლეთ ბერლინში ლიკვიდირებული უნდა იყოს.

მაშ რა გვინდა ჩვენ? ჩვენ გვინდა მშვიდობა. ჩვენ გვინდა აღმოვფხვრათ მეორე მსოფლიო ომის ნაშთები, საქმე ისე მოვაწყოთ, რომ ისინი არ ქმნიდნენ მესამე მსოფლიო ომის ატეხის საფრთხეს. თქვენ ამბობთ, რომ ამას შეიძლება მოჰყვეს ატომური ომი. ეს მე არ მესმის. გამოდის, რომ ჩვენ გვინდა ხელი მოვაწეროთ საზავო ხელშეკრულებას გერმანიასთან, შეერთებულ შტატებს კი სურთ ამის გამო გვეომონ ჩვენ? ჩვენ მიგვაჩნია, რომ ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობა კეთილგონიერი იქნება. ამერიკის შეერთებულმა შტატებმა კიდევაც რომ დაიწყონ ომით მუქარა, ჩვენ სულერთია ხელს მოვაწერთ საზავო ხელშეკრულებას. ჩვენ არ გვჯერა, რომ ამერიკელი ხალხი დაიწყებს მესამე მსოფლიო ომს იმის გამო, რომ დაიდება საზავო ხელშეკრულება გერმანიასთან. ეს უცნაურია. ეს სავსებით შეუწყნარებელია.

ჩვენ კი არავის არ ვემუქრებით. პირიქით, ჩვენ გვინდა აღმოვფხვრათ მეორე მსოფლიო ომის ნაშთები, ჩავაქროთ ყველა ნაღვერდალი, რომლებიც ჯერ კიდევ არ ჩამქრალა. ყოველი ღონე ვიხმაროთ იმისათვის, რომ უზრუნველვყოთ მტკიცე მშვიდობა მთელ მსოფლიოში, რომ ვიცხოვროთ მეგობრობით ყველა ხალხთან — ამერიკელ, ფრანგ, გერმანელ ხალხებთან, ყველა ხალხთან. თქვენ გსურთ იცხოვროთ კაპიტალიზმის პირობებში — ეს თქვენი საქმეა, იცხოვრეთ. ჩვენ კი გვსურს ვიცხოვროთ კომუნიზმის პირობებში — ეს ჩვენი საქმეა. თქვენ სწორად არ გესმით ჩვენი პოზიცია. ვფიქრობ, რომ, როცა სწორად გაიგებთ, მიესალმებით ჩვენს პოზიციას, იმიტომ, რომ იგი ერთადერთი სწორი და გონივრული პოზიციაა.

დ. სასკაინდი. დარწმუნებული ვარ, რომ ამერიკა და მისი მოკავშირეები არ დაიწყებენ ომს. ჩემი კითხვა არსებითად ის იყო, რომ დასავლეთ ბერლინის და გერმანიასთან საზავო ხელშეკრულების დადების პრობლემა უნდა გადაიჭრას ისე, რომ არ იყოს ომით დაშინება და ისეთი მოქმედება, რასაც შეიძლება მოჰყვეს მსოფლიოს ან მსოფლიოს ნაწილის აფეთქება.

ნ. ს. ხრუშჩოვი. მე მომწონს თქვენი პასუხი, ეს გონივრული სიტყვებია. ჩვენ არავის არ ვემუქრებით, ჩვენ მხოლოდ გვსურს, რომ ამერიკის შეერთებულმა შტატებმა, ინგლისმა, საფრანგეთმა და სხვა ქვეყნებმა შეიგნონ, რომ საჭიროა დაიდოს საზავო ხელშეკრულება ორ გერმანიასთან, რათა აღმოიფხვრას მეორე მსოფლიო ომის ნაშთები. ჩვენ გვინდა არა მარტო არ დავუშვათ ომი, არამედ კიდევაც შევქმნათ ყველა ქვეყანასთან კარგი მეგობრული ურთიერთობის პირობები. ჩვენ ძალიან გვინდა ვიცხოვროთ მეგობრობითა და ძმობით ამერიკელ ხალხთან, ვიცხოვროთ მეგობრობით ამერიკის მთავრობასთან.

დ. სასკაინდი. თქვენი ბრალდება, რომ ამერიკის შეერთებულ შტატებს აქვთ კონტროლი უმრავლესობისადმი გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში, ხომ არ არის იმ ქვეყნების თავისუფლებისა და დამოუკიდებლობის შეურაცხყოფა, რომლებიც ამ ორგანიზაციას შეადგენენ? ის ხომ ფაქტია, რომ ბევრ შემთხვევაში თავისუფალი ქვეყნების დიდმა ნაწილმა ხმა მისცა ერთმანეთისაგან განსხვავებულად და ამერიკის შეერთებული შტატებისაგან განსხვავებულად. მაგრამ არ ყოფილა არც ერთი შემთხვევა, რომ საბჭოთა ბლოკს, რომელიც რვა ქვეყნისაგან შედგება, ხმა მიეცა საბჭოთა კავშირისაგან განსხვავებულად.

ნ. ს. ხრუშჩოვი. თქვენ სავსებით ზუსტად არა ხართ ინფორმირებული ამ საკითხზე. ბევრი ქვეყნის წარმომადგენლები, რომლებიც ხმას აძლევენ ამერიკის შეერთებული შტატების წინადადებებს, შემდეგ მოდიან ჩვენთან და განგვიმარტავენ თავიანთ პოზიციას. ისინი ამბობენ: სულითა და გულით თქვენთან ვართ, მაგრამ ისეთ მდგომარეობაში ვიმყოფებით, რომ არ შეგვიძლია ხმა მივცეთ ამერიკის წინააღმდეგ, ჯერჯერობით იძულებული ვართ ხმა მივცეთ იმას, რასაც ამერიკის შეერთებული შტატები მოითხოვენ.

დ. სასკაინდი. მაგრამ გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში ხომ შედიან თავისუფალი და დამოუკიდებელი ქვეყნები, ისინი არ განიცდიან ამერიკის შეერთებული შტატების სასწაულმოქმედ გავლენას, ისინი ხმას აძლევენ ისე, როგორც მათ სინდისი უკარნახებს. ასე არ არის?

ნ. ს. ხრუშჩოვი. მე პატივისცემით ვეკიდები თქვენს სიტყვებს, მაგრამ როცა თქვენ უფრო ღრმად ჩასწვდებით გაერთიანებული ერების ორგანიზაციის მუშაობას, შეიცვლით აზრს. სამწუხაროდ, გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში ხდება ზემოქმედება იმ ქვეყნების დელეგატებზე, რომლებიც პოლიტიკურად და ეკონომიურად ამერიკის შეერთებულ შტატებზე არიან დამოკიდებული. მაგრამ ამას მალე მოეღება ბოლო. დადგება დრო, როცა ხალხები განთავისუფლდებიან ამერიკის შეერთებული შტატების გავლენისაგან და მაშინ ამერიკის შეერთებულ შტატებს გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში უმცირესობა ეყოლებათ.

(ნ. ს. ხრუშჩოვის ამ პასუხის შემდეგ კვლავ გაიმართა ხანმოკლე შესვენება. ტელევიზორის ეკრანზე გამოჩნდა კინოქრონიკის კადრები, რომლებიც მოუწოდებენ მოისმინონ რადიოსადგურის „თავისუფალი ევროპის“ ღვარძლიანი ხმა. ამ პროვოკაციული ფაქტის შესახებ მოახსენეს ნ. ს. ხრუშჩოვს. ნიკიტა სერგის-ძემ მიმართა სასკაინდს და უთხრა:

— მე მითხრეს, რომ იმ დროს, როცა შესვენებაა, ამავე ხაზით გადასცემენ ყოველგვარ ანტისაბჭოთა ცილისწამებას. რატომ სჩადიხართ ამას? კომუნიზმისა გეშინიათ, სიმართლისა გეშინიათ!

არაფერია, დაე გადასცენ, ჩვენ ამის არ გვეშინია, უფრო მტკიცედ ვგრძნობთ თავს).

შესვენების შემდეგ სასკაინდი ცდილობს მისცეს მთელი სერია წინასწარ შედგენილი კითხვებისა.

ნ. ს. ხრუშჩოვი აწყვეტინებს მას შენიშვნით:

— თქვენ მთხოვთ, რომ გიპასუხოთ მოკლედ, თვითონ კი მთელ პროგრამას აყენებთ. ასე მე დილამდე მომიხდება პასუხის გაცემა. ვხედავ, თქვენ გინდათ ისეთ მდგომარეობაში ჩამაყენოთ, რომ კითხვებს მომცემთ, ხოლო პასუხის გაცემის საშუალებას კი არა. თქვენ გინდათ ყველა კითხვა წაიკითხოთ, ხოლო შემდეგ თქვათ — საუბარი დამთავრებულიაო. ოდესღაც თქვენ ასე მოექეცით ამხანაგ მიქოიანს. ეს არ ვარგა. ჩვენი საუბარი დასასრულს უახლოვდება. თქვენ მომეცით კონკრეტული კითხვა, მე გიპასუხებთ.

დ. სასკაინდი. დარწმუნებული ხართ, რომ თქვენი მოღვაწეობა გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში აქ ჩამოსვლის შემდეგ იმით გამოიხატება, რომ მშვიდობისა და სიმართლის მარცვლებს თესავთ?

ნ. ს. ხრუშჩოვი. მე მხოლოდ ამისათვის ჩამოვედი. მე არა მაქვს ცხოვრებაში სხვა მიზანი, თუ არა ის, რომ ვემსახურო სიმართლეს, ვემსახურო ჩემს ხალხს, ვემსახურო მუშებს, გლეხებს, მშრომელ ინტელიგენციას.

მე მინდა გულწრფელი მადლობა მოგახსენოთ იმისათვის, რომ საშუალება მომეცით გამოვსულიყავი ნიუ-იორკისა და ამერიკის შეერთებული შტატების სხვა ქალაქების მოსახლეობის წინაშე.

გიპასუხებდით რა კითხვებზე, ვცდილობდი, რომ ეს პასუხი ემსახურებოდეს ჩვენი პოლიტიკისა და ჩვენი მისწრაფებების სწორ გაგებას. ჩვენი მთავარი მისწრაფება, საბჭოთა ხალხის, საბჭოთა მთავრობის მისწრაფება არის ის, რომ ვიცხოვროთ მშვიდობით და მეგობრობით ყველა ხალხთან. და ჩვენ დიდად გვსურს ვხედავდეთ ნაცვალგებას ამერიკელი ხალხისა და ამერიკის მთავრობის მხრივ. ვფიქრობ, ადრე თუ გვიან შეიქმნება ისეთი მდგომარეობა, როცა ჩვენ გვექნება მეგობრობა, რადგან მეგობრობა საშუალებას მოგვცემს განვავითაროთ ჩვენი ეკონომიკა და კულტურა. ომი კი მოგვიტანს უბედურებას, ამიტომ ჩვენ ვემხრობით მშვიდობას, ვემხრობით მეგობრობას.

მე მინდა მადლობა მოვახსენო ყველას, ვინც მისმენდა, და ვთხოვ მათ ყველაფერი გააკეთონ, რაც კი ძალუძთ, რათა გააუმჯობესონ ჩვენი ქვეყნების ურთიერთობა.

ჩვენ საბჭოთა კავშირში გვაქვს ყველაფერი, რაც საჭიროა. გვაქვს მდიდარი ქვეყანა, აყვავებული ეკონომიკა. ვცდილობთ დიდად ავამაღლოთ ჩვენი ხალხის ცხოვრების დონე. ჩვენ განსაკუთრებით კარგი პერსპექტივები გვაქვს. არაფერი გვინდა სხვა ხალხებისაგან, გარდა მეგობრობისა. ყველაფერი, რაც საჭიროა ხალხის მოთხოვნილებათა დასაკმაყოფილებლად, გვაქვს. ამიტომ მეგობრობისა და მშვიდობის ხელს ვუწვდით ამერიკელ ხალხს. ჩვენი სურვილია, რომ ამერიკელებმა ნაცვალგებით გვიპასუხონ.

ერთხელ კიდევ მადლობას მოგახსენებთ, ძვირფასო მეგობრებო! დაე ჩვენს დედამიწაზე მუდამ სუფევდეს მშვიდობა და არ იყოს ომები.

გაუმარჯოს საბჭოთა კავშირისა და ამერიკის შეერთებული შტატების ხალხთა მეგობრობას!

დ. სასკაინდი. შეიძლება მოგცეთ კიდევ ერთი კითხვა — როდის ფიქრობთ დაბრუნდეთ საბჭოთა კავშირში?

ნ. ს. ხრუშჩოვი. საბჭოთა კავშირში გავფრინდები ხუთშაბათს, დღის ბოლოს.

მივმართავ იმათ, ვისაც სურს წამოვიდეს სსრ კავშირში და ნახოს, როგორ ცხოვრობს საბჭოთა ხალხი, მობრძანდით. ჩვენი ხალხი ძალიან სტუმართმოყვარეა, ამას თქვენ თვითონ დაინახავთ და იგრძნობთ. მე გეპატიჟებით, ჩამობრძანდით.

დ. სასკაინდი. ბატონო ხრუშჩოვ, უნდა ვთქვა, რომ ჩვენ გვთიშავს რაღაც უფრო მეტი, ვიდრე სხვადასხვა ენა. მე მინდა მოწიწებით შევნიშნო, რომ ზოგიერთი თქვენი პასუხი კონკრეტულად არ ეხებოდა აღძრულ კითხვას. იმედი მქონდა, რომ დღეს ჩვენ შევძლებდით მიგვეღო უფრო დაწვრილებითი ინფორმაცია, რომელიც ხელს შეუწყობდა მშვიდობის საქმეს.

ნ. ს. ხრუშჩოვი. მე ყველაფერი გავაკეთე იმისათვის, რომ გამეფანტა საბჭოთა მთავრობის პოლიტიკის არასწორი გაგება. ჩვენ გავუგებთ ერთმანეთს, მიუხედავად სხვადასხვა ენისა, თუ შევთანხმდებით ერთ რამეში — არ ჩავერიოთ ერთმანეთის საქმეებში.

თვითეული ხალხი თვითონ ირჩევს პოლიტიკურ და სოციალურ წყობილებას. ეს თვითეული ხალხის სამინაო საქმეა. თუ ჩვენ მტკიცედ დავიცავთ ასეთ დებულებას, მაშინ არ გვექნება არავითარი საკითხი, რომელიც გაგვთიშავდა და ხელს შეუშლიდა ჩვენს მეგობრობას. თქვენ ამბობთ, რომ გსურთ მშვიდობა და არა ომი, ჩვენც გვსურს მშვიდობა. თქვენ ამბობთ, რომ გსურთ მეგობრობა, ჩვენც ეს გვსურს.

დ. სასკაინდი. ახლა თქვენ იმოქმედებთ ისე, რომ საქმეები სიტყვებს შეესაბამებოდეს?

ნ. ს. ხრუშჩოვი. ჩვენ მუდამ ასე ვმოქმედებდით. ვინ ჩაგინერგათ არასწორი წარმოდგენა ჩვენზე?

დ. სასკაინდი. ისტორიამ და დაკვირვებამ.

ნ. ს. ხრუშჩოვი. თუ თქვენ ნამდვილად შეისწავლით ისტორიას და დაუკვირდებით, მაშინ მდგომარეობა არ იქნება პერსპექტივას მოკლებული. თქვენ ოდესმე კარგად გაგვიგებთ და ჩვენც გაგიგებთ.

დ. სასკაინდი. სიტყვები, რომლებიც თქვენ თქვით, შესანიშნავია.

ნ. ს. ხრუშჩოვი. რაც შეეხება მშვიდობას, ჩვენ მუდამ მშვიდობას ვემხრობით და არასოდეს არ დავიწყებთ ომს.

დ. სასკაინდი. კატეგორიულად?

ნ. ს. ხრუშჩოვი. კატეგორიულად ჩვენ არასოდეს არ დავიწყებთ ომს. დაიხსომეთ ჩემი სიტყვები, არა თუ ომს არ დავიწყებთ, არამედ გვსურს მეგობრობა თქვენთან.

რასაც ჩვენ ახლა ვამბობთ ეთერში გადაიცემა?

დ. სასკაინდი. დიახ.

ნ. ს. ხრუშჩოვი. თქვენ ეშმაკი ამერიკელი ხართ. თქვენ გაქვთ მიკროფონი. თქვენ გისმენენ, მე კი ალბათ არა?

დ. სასკაინდი. როგორ შეიძლება არ გაიგონონ ისეთი ხმა, როგორიც თქვენ გაქვთ? იგი შორს გაისმის.

ახლა მინდა გკითხოთ თქვენი ხასიათის ზოგიერთი თვისების შესახებ. თქვენ თითქოს ვერცხლისწყალი ხართ. ხან მხიარული იუმორის კარგი გრძნობით, ხან სერიოზული, ხან განრისხებული. ეს ჭეშმარიტი ნიშნებია, რომლებიც თქვენ გახასიათებთ?

ნ. ს. ხრუშჩოვი. სიკეთეზე ჩვენ სიკეთით ვუპასუხებთ. ცხოველიც კი, თუ მას ხელს გადაუსვამთ, გრძნობს ალერსს, ხოლო თუ აწვალებთ, იწყებს ღრენას. თუ მეგობრულად მოდიხართ ჩვენთან, ჩვენ გულს გადაგიშლით, თუ გზავნით „უ-2“ ჯაშუშურ თვითმფრინავს, ჩვენ ჩამოვაგდებთ მას.

დ. სასკაინდი. თუ შეიძლება ნუ იკბინებით, თქვენ იკბინებით.

ნ. ს. ხრუშჩოვი. არა, სწორედ თქვენ იკბინებით. „უ-2“ თვითმფრინავის გამოგზავნა კბენაა თქვენი მხრივ.

დ. სასკაინდი. ეს უკვე ისტორიაა. ეს წარსული საქმეა. მეტი აღარ გამოგვიგზავნია „უ-2“. ჩვენ მშვიდობას ვესწრაფვით.

ნ. ს. ხრუშჩოვი. კარგი, მოდით დავამთავროთ ეს. ომის შემდეგაც კი ზავს დებენ, ჩვენ ხომ ერთმანეთთან არ გვიომნია. ჩვენი ქვეყნები მოკავშირეები იყვნენ წარსულ ომში. ჩვენ გვსურს ახლაც ვიყოთ მეგობრები, არაფერს არ გთხოვთ, გვსურს მხოლოდ მეგობრობა და მშვიდობა.

დ. სასკაინდი. ომი არც ჩვენ გვსურს. უნდა გამოინახოს მოლაპარაკების გზა.

ნ. ს. ხრუშჩოვი. ჩვენ გვსურს მოლაპარაკება, ჩვენ გვსურს მშვიდობა და მეგობრობა.

ჩამოდით საბჭოთა კავშირში, ნახეთ, იცხოვრეთ, თვითონ იგრძენით ჩვენი დამოკიდებულება. და დაინახავთ, თუ რა შესანიშნავი მშვიდობისმოყვარე ხალხია ჩვენში. ბევრი ამერიკელი, რომელიც გვესტუმრა, წერდა ჩვენს ქვეყანაზე. მე წამიკითხავს მათი შთაბეჭდილებანი. უნდა ითქვას, რომ ძალიან ცოტანი ამახინჯებენ მდგომარეობას. ბევრი წერს სიმართლეს, და ჩვენ მოხარული ვართ, რომ ისინი უზიარებენ ხალხს თავიანთ შთაბეჭდილებებს და ხელს უწყობენ მეგობრული ურთიერთობის დამყარებას ჩვენს ქვეყნებს შორის. რად მინდა, მაგალითად, მე ომი. მე უკვე ბევრი შვილიშვილი და ბადიშის შვილიც მყავს.

დ. სასკაინდი. განცხადებებს, რომლებიც გააკეთეთ თქვენ აქ, გენერალური ასამბლეის სხდომებზე, სააგიტაციო ხასიათი ჰქონდა და მიმართული იყო ურთიერთობის კიდევ უფრო გამწვავებისაკენ. თქვენ გვიწოდებთ კოლონიზატორებს და ომის იმპერიალისტ გამჩაღებლებს. ეს ხელს არ უწყობს იმას, რომ გაუმჯობესდეს ურთიერთობა.

ნ. ს. ხრუშჩოვი. თქვენ კოლონიური სისტემის წინააღმდეგი ხართ? მაშინ მოდით ხელი ჩამოვართვათ ერთმანეთს. ჩვენ გენერალური ასამბლეის განსახილველად შევიტანეთ დეკლარაცია, სადაც მოვითხოვთ კოლონიური სისტემის ლიკვიდაციას. თუ თქვენც ამას უჭერთ მხარს, მაშინ ჩვენ ერთად ვიქნებით ამ საკითხში.

დ. სასკაინდი. ომის შემდეგ დასავლეთმა 37 ქვეყანა გაათავისუფლა.

ნ. ს. ხრუშჩოვი. მაგრამ ჯერ კიდევ ბევრი კოლონიაა, სადაც ადამიანები კვლავ იტანჯებიან კოლონიურ სისტემაში. მოდით ისინიც გავათავისუფლოთ.

დ. სასკაინდი. თქვენ კი [illegible] ხართ თავისუფლება მისცეთ ადამიანებს კოლონიებში, ამ ადამიანების წიგნიერების დონის, განვითარების დონის, კულტურის დონის მიუხედავად, იმის მიუხედავად, აქვთ თუ არა ამ ქვეყნებს განვითარების უნარი?

ნ. ს. ხრუშჩოვი. დიახ, ჩვენ მხარს ვუჭერთ ყოველი ხალხის სრულ თავისუფლებას. ჩვენში, მაგალითად, თხუთმეტი დამოუკიდებელი მოკავშირე რესპუბლიკიდან, ყოველ რესპუბლიკას შეუძლია, თუ იგი მოისურვებს, გავიდეს საბჭოთა კავშირის შემადგენლობიდან, უფლება აქვს ასე მოიქცეს.

თუ უკრაინა მოისურვებს გავიდეს, მას შეუძლია ასე მოიქცეს. თუ ბელორუსია მოისურვებს, მას შეუძლია ასე მოიქცეს, თუ მოისურვებს საქართველო, სომხეთი ან ყოველი სხვა რესპუბლიკა, მას შეუძლია გავიდეს საბჭოთა კავშირის შემადგენლობიდან.

დ. სასკაინდი. საუბარში მაკმილანთან თქვენ წამოაყენეთ წინადადება, რომ მომავალ წელს მოწვეულ იქნას გენერალური ასამბლეის სპეციალური საგანგებო სესია, რომელზეც გაერთიანებული ერების ორგანიზაციის 99 წევრი განიხილავს ერთადერთ პრობლემას — განიარაღების პრობლემას.

მე მინდა გკითხოთ, თუ როგორ შეუძლია ასეთ უზარმაზარ ორგანიზაციას, რომლის შემადგენლობაში 99 წარმომადგენელია, განიხილოს ეს საკითხი, მაშინ როცა ჟენევის თათბირი სამი სახელმწიფოს შემადგენლობით ვერ მისულა შეთანხმებამდე ატომური იარაღის გამოცდის შეწყვეტის შესახებ, როცა კომიტეტი 10 ქვეყნის შემადგენლობით ვერ აღწევს შეთანხმებას?

ნ. ს. ხრუშჩოვი. პატივცემულო ბატონო! ზოგჯერ ორნი შეხვდებიან ერთმანეთს და ვერ შეთანხმდებიან, იმიტომ რომ ერთ მათგანს არ სურს შეთანხმება.

დ. სასკაინდი. 99 ადამიანისათვის ეს საერთოდ შეუძლებელია.

ნ. ს. ხრუშჩოვი. საბჭოთა კავშირი მზად არის ხელი მოაწეროს ხელშეკრულებას განიარაღების და იარაღის მოსპობის შესახებ, ხოლო კონტროლი იარაღის მოსპობისადმი, განიარაღებისადმი, ამ კონტროლის სისტემა დაე შეერთებულმა შტატებმა წარმოადგინონ. რა წინადადებებსაც წამოაყენებენ ისინი, ისეთ წინადადებებს მივიღებთ, იმიტომ რომ ჩვენ მოვითხოვთ ნამდვილ კონტროლს, ეს ჩვენს საერთო ინტერესებს შეესაბამება.

მაგრამ თქვენი პრეზიდენტი ლაპარაკობს არა განიარაღებაზე, არამედ მხოლოდ შეიარაღებისადმი კონტროლზე, და ამიტომ გამოდის, რომ ჩვენ ვლაპარაკობთ არა მარტო სხვადასხვა ენაზე, არამედ სხვადასხვა საგანზეც.

დ. სასკაინდი. მსოფლიოს ხალხებს აშინებთ მდგომარეობა, რომელიც შექმნილია მსოფლიოში, და დაჟინებით მოითხოვენ, რომ დაწესდეს კონტროლი და ინსპექცია, რაც შექმნის უფრო მშვიდ და მტკიცე მდგომარეობას.

ნ. ს. ხრუშჩოვი. ჩვენ მხარს ვუჭერთ კონტროლსა და ინსპექციას. მაგრამ რას გავუწიოთ კონტროლი? თუ არ არის განიარაღება, კონტროლის გასაწევიც არაფერია. რაო, თქვენ გსურთ კონტროლი გაუწიოთ ჩვენი მთავრობის მუშაობას? არ არის საჭირო, ამას ჩვენ თვითონ ვაკეთებთ.

დ. სასკაინდი. ჩვენ გვინდა კონტროლი გავუწიოთ ატომური იარაღის მარაგს, შეიარაღების მარაგს, რომ ვიცოდეთ, რა დარჩება და რა მოისპობა.

ნ. ს. ხრუშჩოვი. ჩვენ კი არაფერიც არ გვინდა დავტოვოთ. ყველაფერი გვინდა მოვსპოთ. რატომ დავტოვოთ? ჩვენი მიზანია, რომ არ იყოს იარაღი, არ ატყდეს ომები სახელმწიფოთა შორის. თქვენ კი გსურთ იარაღის ნაწილი მოსპოთ, ნაწილი კი დატოვოთ. რატომ უნდა დატოვოთ ნაწილი? ცხადია, ომისათვის.

დ. სასკაინდი. ჩვენ განვიცდით უნდობლობისა და შიშის პერიოდს. ამიტომ მიგვაჩნია, რომ განიარაღება, როცა ნდობა არ არის, პირდაპირ შეუძლებელია. ჩვენ ჯერ უნდა შევიმუშაოთ კონტროლისა და ინსპექციის სისტემა, რომ შემდეგ დავიწყოთ განიარაღება.

ნ. ს. ხრუშჩოვი. ჩემთვის ძნელია გიპასუხოთ ამაზე, იმიტომ რომ მე დიდი სახელმწიფოს პრემიერ-მინისტრი ვარ და თქვენზე ღრმად ვიცი ეს საკითხი. თქვენ კი, როგორც ჩანს, საკმაოდ არ იცით, ამიტომ ჩვენი შეთანხმება ძნელია. საბჭოთა კავშირი მზად არის განახორციელოს განიარაღება, ეს კი მთავარია. თქვენ კი ლაპარაკობთ ინსპექციის შესახებ, კონტროლის შესახებ. ინსპექციასა და კონტროლზე განუიარაღებლად ჩვენ არასოდეს არ დავთანხმდებით, იმიტომ რომ ეს ჯაშუშობაა. ჩვენ უნდა მივაღწიოთ იმას, რომ გადაიჭრას მთავარი პრობლემა — განიარაღება, რომ იყოს მშვიდობა. მოდით მოვსპოთ იარა-

(დასასრული მე-3 გვერდზე)

ნ. ს. ხრუშჩოვის საუბარი

(დასასრული)

ლი და შევქმნათ ინსპექცია, რომ ვერავინ ვერ შეძლოს ფარულად შეიარაღება.

დ. სასკაინდი. რამდენიმე სიტყვა მინდა ვთქვა დასასრულ. როცა რომელიმე ორი პოლიტიკური კონცეფცია შეეჯახება ერთმანეთს და შეუძლებელია შეთანხმება მეტად ბევრ საკითხზე, მაშინ ორივე მხარემ უნდა გამოიჩინოს მოლაპარაკების სურვილი და მიაღწიოს რაიმე კონსტრუქციულ გადაწყვეტილებას, რამდენადაც ორივე მხარე თანახმაა, რომ ომი უაზრობაა.

ნ. ს. ხრუშჩოვი. სწორია.

დ. სასკაინდი. თქვენ თანახმა ხართ, რომ მოლაპარაკება ერთადერთი გზაა, და თქვენ ამ გზას დაადგებით?

ნ. ს. ხრუშჩოვი. სწორია. ჩვენ სხვადასხვა ფილოსოფია გვაქვს. თქვენ ბურჟუაზიული, ჩვენი ფილოსოფია კომუნისტურია. ამ საკითხზე ვერ შევთანხმდებით, და არც უნდა ვეცადოთ შევთანხმდეთ. შეხედულებათა, ფილოსოფიურ კონცეფციათა განსხვავებას არ უნდა მოჰყვეს ომები ჩვენს ქვეყნებს შორის.

დ. სასკაინდი. ჩვენ უნდა ვითანაარსებოთ?

ნ. ს. ხრუშჩოვი. დიახ, უნდა ვითანაარსებოთ.

დ. სასკაინდი. მშვიდობიანად, მშვიდობის პირობებში?

ნ. ს. ხრუშჩოვი. დიახ.

დ. სასკაინდი. იმის მიუხედავადაც კი, რომ ზოგიერთი თქვენი კოლეგა მხარს უჭერს უფრო მილიტარისტულ მიდგომას?

ნ. ს. ხრუშჩოვი. ნუ ცდილობთ ჩემს შეცდენას. მე გამოცდილი კაცი ვარ. ჩემზე ზემოქმედებას ნუ ახდენთ. ჩვენ გვინდა, რომ იყოს მშვიდობა. განავითარეთ თქვენი ეკონომიკა და იზრუნეთ თქვენი სახელმწიფოსათვის კაპიტალისტურ საფუძვლებზე. ჩვენ არ ვერევით თქვენს საშინაო საქმეებში, თქვენც ნუ ჩაერევით ჩვენს საქმეებში.

დ. სასკაინდი. თქვენ მზად ხართ შეუერთდეთ იმას, რომ დაწესდეს ემბარგო იარაღის გატანაზე აფრიკის ქვეყნებში, რომ არავინ არ გაიტანოს იქ იარაღი?

ნ. ს. ხრუშჩოვი. ჩვენ დიდი ხანია ამას მოვითხოვთ. ჩვენ მოვითხოვდით დადებულიყო ხელშეკრულება, რომ არც ერთმა ქვეყანამ არ მიჰყიდოს იარაღი სხვა ქვეყნებს. მაგრამ თქვენმა მთავრობამ არ მიიღო ჩვენი წინადადება.

დ. სასკაინდი. ახლა ჭეშმარიტად დაიწყო გამალებული შეიარაღება აფრიკაში.

ნ. ს. ხრუშჩოვი. მოდით დავდოთ ასეთი ხელშეკრულება. ჩვენ გვინდა მშვიდობა და არა ომი, და ყოველ ღონეს ვიხმართ, რომ განვამტკიცოთ მშვიდობა.

დ. სასკაინდი. რაც შეეხება ახალ ქვეყნებს, ემბარგო გავრცელდებოდა შეიარაღებაზეც, სამხედრო პერსონალზეც, სამხედრო ტექნიკაზეც?

ნ. ს. ხრუშჩოვი. ყველაფერზე. მაგრამ საჭიროა მხოლოდ, რომ ამას მხარი დაუჭიროთ თქვენც, ინგლისელებმაც, ფრანგებმაც. რომ არავინ არ ჩაიდინოს ეს. რათ უნდათ იარაღი ამ ახალ სახელმწიფოებს? მათ ესაჭიროებათ პური, ესაჭიროებათ მანქანები თავიანთი ეკონომიკის განვითარებისათვის. იარაღი მათ არ ესაჭიროებათ. ისინი თვითონაც არ აიღებდნენ იარაღს, არავინ რომ არ ერეოდეს მათს საშინაო საქმეებში.

დ. სასკაინდი. თქვენ მზად ხართ გაემგზავროთ უმაღლესი დონის ახალ თათბირზე ჩვენს მომავალ პრეზიდენტთან ერთად?

ნ. ს. ხრუშჩოვი. არა თუ მზად ვარ, ვფიქრობ, რომ აუცილებლად შევხვდებით ერთმანეთს.

დ. სასკაინდი. იქნებ, უწინარეს ყოვლისა, უმაღლესი დონის თათბირამდე საჭიროა განხორციელდეს მოსამზადებელი ღონისძიებანი უფრო დაბალ დონეზე, რომ შემდეგ უმაღლესი დონის თათბირმა მიაღწიოს საუკეთესო შედეგებს?

ნ. ს. ხრუშჩოვი. ჩვენ მზად ვართ ყოველგვარ გონივრულ ღონისძიებაზე, რომელსაც მოჰყვება ურთიერთობის გაუმჯობესება ჩვენს ქვეყნებს შორის, მშვიდობა და მეგობრობა.

პრეზიდენტის არჩევნები თქვენი საშინაო საქმეა. ჩვენ მზად ვართ შევხვდეთ ერთმანეთს და ვაწარმოოთ გონივრული მოლაპარაკება, მივაღწიოთ ისეთ შეთანხმებას, რომელიც უზრუნველყოფდა მშვიდობას ჩვენს შორის და მეგობრობას ყველა ხალხებს შორის.

ვგონებ, ძალიან გაგვიგრძელდა საუბარი, როგორც ჩანს, დროა დავამთავროთ.

ნახვამდის, ბატონებო. გმადლობთ ყურადღებისათვის.

წერილი დემოკრატი იურისტების

საერთაშორისო ასოციაციის VII კონგრესს

სოფია

გულითადად მივესალმები დემოკრატი იურისტების საერთაშორისო ასოციაციის VII კონგრესის მონაწილეთ.

თქვენი კონგრესი შეიკრიბა დიდმნიშვნელოვან დროს, როცა მსოფლიოში ხდება ამბები, რომლებსაც გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვთ მთელი კაცობრიობის ბედისათვის. ფართოვდება ხალხთა მოძრაობა მშვიდობის დასაცავად, საყოველთაო და სრული განიარაღებისათვის, იმისათვის რომ სამუდამოდ აღმოიფხვრას ომი ადამიანთა საზოგადოების ცხოვრებაში. ეროვნულ-განმათავისუფლებელი ბრძოლის მძლავრი დარტყმები ანგრევენ კოლონიალიზმის სამარცხვინო სისტემას და მილიონობით ჩაგრული ადამიანი თავისუფლებასა და ეროვნულ დამოუკიდებლობას იძენს. ახალი ცხოვრება სწრაფად იჭრება მსოფლიოში, შეუკავებლად ამსხვრევს ძველ ფორმებს, წმენდს დედამიწას ყოველივე დამპლისაგან, რომელიც უშლის კაცობრიობას წინსვლას.

მაგრამ კიდევ არიან მნიშვნელოვანი ძალები, რომლებიც ეწინააღმდეგებიან ხალხთა სვლას მშვიდობისა და პროგრესისაკენ. იმპერიალისტური სახელმწიფოების მთავრობები უხეშად ერევიან სხვა ქვეყნების საქმეებში, ცდილობენ შეაჩერონ კოლონიური უღლისაგან ხალხების განთავისუფლების პროცესი, ურცხვად არღვევენ საერთაშორისო სამართლის ნორმებს, ამზადებენ ახალ ომს.

ამ პირობებში თქვენი მისწრაფება — იბრძოლოთ უფლებისა და სამართლიანობისათვის, ხალხთა კანონიერი მოთხოვნებისათვის, მშვიდობის, დემოკრატიისა და პროგრესის დასაცავად, ხალხთა უფლებებსა და თავისუფლებაზე რეაქციის შეტევის წინააღმდეგ კეთილშობილური მისწრაფებაა, რომელიც კაცობრიობის საუკეთესო იმედს გამოხატავს.

ნება მიბოძეთ გისურვოთ წარმატება თქვენი კონგრესის მუშაობაში და გამოვთქვა იმედი, რომ კონგრესი ხელს შეუწყობს იმას, რომ ყველა ქვეყნის პროგრესული იურისტების ძალები დაირაზმონ, რათა კიდევ უფრო აქტიურად იბრძოლონ მშვიდობის დასაცავად, დემოკრატიის, კაცობრიობის თავისუფლებისა და ბედნიერებისათვის.

ნ. ხრუშჩოვი.

მისალმებანი აფრიკის ახალი რესპუბლიკისადმი

მალის რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარე მოდიბო კეიტა და სენეგალის რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარე მამადუ დია თავიანთ დეპეშებში სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის ნ. ს. ხრუშჩოვისადმი იტყობინებიან, რომ ეს რესპუბლიკები გამოცხადებული არიან დამოუკიდებელ და სუვერენულ სახელმწიფოებად.

ნ. ს. ხრუშჩოვის საპასუხო დეპეშაში ბ-ნ მოდიბო კეიტასადმი ნათქვამია, რომ საბჭოთა მთავრობა ცნობს მალის რესპუბლიკას და მზად არის დაამყაროს მასთან დიპლომატიური ურთიერთობა და გაუცვალოს დიპლომატიური წარმომადგენლობანი.

სენეგალის რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარისადმი დეპეშაში ნ. ს. ხრუშჩოვი აგრეთვე იტყობინება, რომ საბჭოთა მთავრობა ცნობს სენეგალის რესპუბლიკას და მზად არის დაამყაროს მასთან დიპლომატიური ურთიერთობა და გაცვალოს დიპლომატიური წარმომადგენლობანი.

ალიკვეთოს დასავლეთ გერმანიის მილიტარიზმი

გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის, პოლონეთის, სსრ კავშირისა და ჩეხოსლოვაკიის მთავრობათა ერთობლივი განცხადება

გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის, პოლონეთის სახალხო რესპუბლიკის, საბჭოთა კავშირისა და ჩეხოსლოვაკიის სოციალისტური რესპუბლიკის მთავრობებმა, რომლებიც გამსჭვალული არიან სერიოზული ზრუნვით ევროპის მშვიდობიანი მომავლისათვის, ერთობლივი განცხადებით მიმართეს ყველა სახელმწიფოს ხალხებსა და მთავრობებს მშვიდობისათვის იმ მზარდი საფრთხის წინაშე, რომელიც კვლავ მიმდინარეობს გერმანიის მილიტარიზმისა და რევანშიზმისაგან, რომლებიც დღეს ღორძინდება დასავლეთ გერმანიაში.

უკანასკნელი დროის ფაქტები, ნათქვამია ოთხი მთავრობის ერთობლივ განცხადებაში, იმას მოწმობენ, რომ გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის მთავრობის სამხედრო მზადება ახალ საშიშ ეტაპში შევიდა. დაიწყეს რა იმით, რომ მოითხოვა პარიზის შეთანხმებათა გადასინჯვა, გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის მთავრობამ და ბუნდესვერის ხელმძღვანელობამ ახლა ულტიმატუმური ფორმით აშკარად დასვეს საკითხი, რომ მათს ხელში გადასცენ ყველა სახეობის თანამედროვე იარაღი, უწინარეს ყოვლისა რაკეტულ-ატომური იარაღი.

გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის მთავრობამ აშკარად გამოაცხადა გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის ძალად ჩაყლაპვა და პოლონეთისაგან, ჩეხოსლოვაკიისა და საბჭოთა კავშირისაგან ტერიტორიის ჩამოგლეჯა როგორც თავისი პოლიტიკის ძირითადი მიზნები. ამერიკის შეერთებული შტატების, ინგლისისა და საფრანგეთის მთავრობები, აღნიშნულია განცხადებაში, თავს ისე იჭერენ, თითქოს ვერ ამჩნევენ თუ რა გაქანება მიიღო რევანშისტულმა საქმიანობამ დასავლეთ გერმანიაში. თუ ყოველივე ეს ფარავს განზრახვას განაგრძონ დასავლეთ გერმანიის მხედრიონისა და რევანშიზმის წაყრუების პოლიტიკა, ამ სახელმწიფოთა მთავრობებმა უნდა იკისრონ მთელი პასუხისმგებლობა იმ მძიმე შედეგებისათვის, რომლებსაც გარდუვალად გამოიწვევს ასეთი პოლიტიკა.

გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის, პოლონეთის, სსრ კავშირისა და ჩეხოსლოვაკიის მთავრობანი, ნათქვამია ერთობლივ განცხადებაში, მთელი სიმწვავით სვამენ საკითხს მშვიდობისათვის საფრთხის შესახებ დასავლეთ გერმანიის მილიტარიზმის მხრივ, რა თქმა უნდა, არა რაიმე შიშით მისი უგუნური გეგმების წინაშე: სოციალისტური ბანაკის ქვეყნებს აქვთ ყველაფერი, რაც საჭიროა, რათა გამანადგურებელი წინააღმდეგობა გაუწიონ ყოველ აგრესორს.

ოთხი სახელმწიფოს მთავრობები აცხადებენ, რომ ისინი მზად არიან საზავო ხელშეკრულება დადონ ორივე გერმანულ სახელმწიფოსთან და მტკიცე რწმენას გამოთქვამენ, რომ საზავო მოწესრიგება გერმანიასთან, აგრეთვე დასავლეთ ბერლინის პრობლემა, თავიანთ დადებით გადაჭრას პოვებენ.

გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის, პოლონეთის, სსრ კავშირისა და ჩეხოსლოვაკიის მთავრობები მოუწოდებენ ყველა სახელმწიფოს ხალხებსა და მთავრობებს და უწინარეს ყოვლისა მათ შორის იმათ, ვინც მონაწილეობას იღებდა ომში ჰიტლერული გერმანიის წინააღმდეგ, ერთობლივი ღონისძიებით ავიცილოთ თავიდან საფრთხე მშვიდობისათვის, რომელიც მომდინარეობს გერმანიის მილიტარიზმისა და რევანშიზმისაგან, არ დავუშვათ ბუნდესვერის აღჭურვა რაკეტულ-ატომური იარაღით და ყველაფერი გავაკეთოთ, რაც საჭიროა გერმანიასთან საზავო ხელშეკრულების გადაუდებელი დადებისა და ამ საფუძველზე ევროპის ხალხთა მშვიდობისა და უშიშროების უზრუნველყოფისათვის. (საქდესი).

გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური ასამბლეის XV სესია

ნიუ-იორკი, 10 ოქტომბერი, (საქდესი). დღეს გენერალური ასამბლეის დილის პლენარულ სხდომაზე გრძელდებოდა საერთო პოლიტიკური დისკუსია.

სხდომის დაწყებამდე 20 წუთით ადრე გაერთიანებული ერების ორგანიზაციის შენობაში მივიდა საბჭოთა დელეგაციის მეთაური სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე **ნ. ს. ხრუშჩოვი.** საგარეო საქმეთა მინისტრის ა. ა. გრომიკოს თანხლებით მან გაიარა ასამბლეის კულუარები, მიესალმა სოციალისტური ქვეყნების დელეგაციების მეთაურებსა და წევრებს. შემდეგ იგი შევიდა სხდომის დარბაზში, სადაც სხვა დელეგაციებთან ერთად ტაში დაუკრა პირველ ორატორს — გვინეის რესპუბლიკის პრეზიდენტს **სეკუ ტურეს.**

სეკუ ტურემ აღნიშნა, რომ ახლა, სამწუხაროდ, შეიძლება აღინიშნოს წინააღმდეგობა გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წესდებასა და ცალკეული ქვეყნების მოქმედებას შორის, რომლებიც ცდილობენ შეაკავონ კოლონიური ხალხების მისწრაფება თავისუფლებისა და აყვავებისადმი. კოლონიური ხალხების პოლიტიკური ან ეკონომიური ჩახშობის ყოველგვარი ცდა, განაგრძო ს. ტურემ, განწირულია ჩასაფუშავად. აფრიკის ხალხები ამსხვრევენ მონობის ბორკილებს. იქ, სადაც წინათ იყო გავლენის სფეროები და კოლონიური სამფლობელოები, ახლა გამოღვიძებული ხალხები ახალ ბრძოლებს იწყებენ უკეთესი მომავლისათვის.

სახეს იცვლის თვით კონტინენტი, თქვა სეკუ ტურემ. აფრიკა აღარ იქნება იმპერიალისტთა გამდიდრების წყარო, ნადავლი.

გვინეის რესპუბლიკის პრეზიდენტმა მტკიცედ დაგმო ისინი, ვინც კვლავ ქედმაღლურად ეკიდება სუსტად განვითარებული ქვეყნების ხალხებს. სანამ ბოლო არ მოეღება რასობრივ დისკრიმინაციასა და შოვინიზმს, თქვა მან, ვერ გადაიჭრება ჩვენი დროის უმნიშვნელოვანესი პრობლემები.

გაერთიანებული ერების ორგანიზაცია, განაცხადა სეკუ ტურემ, მოვალეა გაათავისუფლოს მსოფლიო კოლონიალიზმის ტვირთისაგან, რომელიც აუტანელი ხდება. ყველა კოლონიური ხალხისათვის დამოუკიდებლობის დაუყოვნებლივ მინიჭების გამოცხადება, თქვა მრავალი დელეგაციის ტაშის გრიალში გვინეის რესპუბლიკის პრეზიდენტმა, შეესაბამება გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ძირითად ამოცანებს. არ უნდა დავივიწყოთ, რომ მილიონობით ადამიანი ჯერ კიდევ ატარებს კოლონიური მონობის ბორკილებს.

აღნიშნა რა, რომ ერთ წელიწადზე ნაკლებ დროში აფრიკის 15 ქვეყანამ ბოლო მოუღო უცხოეთის ბატონობას და დამოუკიდებლობა მოიპოვა, გვინეის რესპუბლიკის პრეზიდენტმა ხაზი გაუსვა, რომ ეს ღრმა ცვლილებები შედეგად მოჰყვა მედგარ ბრძოლას დამოუკიდებლობისათვის. იმპერიალიზმი, თქვა მან, იძულებულია შეცვალოს ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის ჩახშობის მეთოდები, ამასთან კვლავ იყენებს სამხედრო დათრგუნვის უხეშ ძალას, როგორც, მაგალითად, ალჟირში. ცნობებმა სამხრეთ აფრიკის კავშირში პოლიციის მიერ მშვიდობიან მცხოვრებთა საშინელი აწიოკებისა და დახოცვის შესახებ მთელი მსოფლიო შეძრწუნა. პორტუგალია, განაგრძო სეკუ ტურემ, სხვა სახელმწიფოებთან თანამშრომლობით თრგუნავს ეროვნულ-განმათავისუფლებელ მოძრაობას ანგოლაში, მოზამბიკსა და ეგრეთწოდებულ პორტუგალიის გვინეაში. კოლონიალიზმი ახალ პროვოკაციებს ამზადებს ცენტრალურ აფრიკაში.

მაგრამ, ხაზგასმით აღნიშნა მან, ეკონომიური ექსპლოატაცია გრძელდება ყველა ფორმით. ცნობს რა საერთაშორისო თვალსაზრისით ახალი სახელმწიფოების ალმებსა და ჰიმნებს, კოლონიალიზმი ამავე დროს ხელუხლებლად ინარჩუნებს თავის ეკონომიურ პოზიციებს. მრავალი დელეგატის ხანგრძლივი ტაშის გრიალში სეკუ ტურემ განაცხადა, რომ თუ აფრიკა ეკონომიურად არ განთავისუფლდა, შეუძლებელია რაიმე სოციალური პროგრესი.

აფრიკა რომ ეკონომიურად თავისუფალი გახდეს, განაცხადა შემდეგ გვინეის დელეგაციის მეთაურმა, საჭიროა იგი აღარ მიაჩნდეთ ნედლეულის წყაროდ. უნდა ბოლო მოეღოს კოლონიალიზმის შედეგებს აფრიკის სახელმწიფოთა ეკონომიკაში.

იმპერიალისტები ოცნებობენ დარჩნენ აფრიკაში, თქვა შემდეგ გვინეის რესპუბლიკის პრეზიდენტმა. იმპერიალისტთა მისალმებას გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში ახალი სახელმწიფოების მიღების გამო ფრთხილად უნდა შევხვდეთ. მათ სურთ გადაიბირონ ახალი სახელმწიფოები და ანგარებითი მიზნებისათვის გამოიყენონ ისინი. საბედნიეროდ, აღნიშნა სეკუ ტურემ, აფრიკის ახალი სახელმწიფოების ხელმძღვანელები ბავშვები როდი არიან. ისინი არ მიიღებენ კოლონიალიზმის ამ ახალ ფორმას და არ დათანხმდებიან შეასრულონ იმპერიალისტთა მარიონეტების როლი.

იმპერიალისტებმა, განაგრძო სეკუ ტურემ, არ უნდა შემოიღონ გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში თავიანთი მეთოდები, თორემ ეს საფრთხეს შეუქმნის ამ ორგანიზაციის ავტორიტეტსა და მნიშვნელობას აფრიკაში.

შეეხო რა კონგოს ამბებს, გვინეის რესპუბლიკის პრეზიდენტმა აფრიკის ყველა ხალხის დიდი შეშფოთება გამოთქვა ბელგიისა და სხვა კოლონიური სახელმწიფოების მოქმედების გამო, რომლებიც ცდილობენ რადაც უნდა დაუჯდეთ ძირი გამოუთხარონ კონგოს სახელმწიფოს თავისუფლებასა და სუვერენიტეტს.

ქაოსისა და შეთქმულებათა მდგომარეობა, რაც კონგოს ახალგაზრდა რესპუბლიკაში შეიქმნა, განაგრძო სეკუ ტურემ, გაერთიანებული ერების ორგანიზაციას წარმოგვიდგენს ისეთი სახით, რომელიც მეტად აშფოთებს აფრიკის ხალხებს. კონგოში უშიშროების საბჭოს გადაწყვეტილებათა განხორციელების დროს დაშვებული იყო მძიმე შეცდომები. არ შეგვიძლია არ ვაღიაროთ, განაცხადა ტაშის გრიალში სეკუ ტურემ, გაერთიანებული ერების ორგანიზაციის პასუხისმგებლობა აბნეულობისათვის, რაც მსოფლიო საზოგადოებრივ აზრში შეიქმნა იმ საქმიანობის შედეგად, რომლის მიზანია ხელი დააფარონ კონგოელი ხალხის უბოროტეს მტრებს. აღნიშნა რა გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ჯარების სარდლობის ეგრეთწოდებული „ნეიტრალიტეტი“ კონგოში ლუმუმბას მთავრობასა და კონგოელი ხალხის მტრებს შორის, სეკუ ტურემ განაცხადა: აფრიკელი ხალხები გმობენ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წარმომადგენელთა ამ ორაზროვან პოზიციას, რომლებმაც არ ცნეს კანონიერი მთავრობა და დახმარება გაუწიეს ქაოსისა და გათიშვის ძალებს.

გაერთიანებული ერების ორგანიზაციის მოქმედება კონგოში მოგვაგონებს დაახლოებით შემდეგს: სახლში შეიჭრნენ ყაჩაღები, ოჯახის პატრონმა მიმართა დახმარებისათვის, ამ შემთხვევაში — გაერთიანებული ერების ორგანიზაციას, მოვიდნენ ამ ორგანიზაციის ჯარები და დაეხმარნენ არა ოჯახის პატრონს, რომელიც გაჭირვებაში იყო, არამედ ყაჩაღებს. გაერთიანებული ერების ორგანიზაცია უნდა იყოს კაცობრიობის სული და გული და სინდისი. იგი უნდა იყოს საერთაშორისო თანამშრომლობის ცენტრი. ჩვენ ყურადღებით ვადევნებთ თვალყურს კონგოს ამბებს, თქვა სეკუ ტურემ, რადგან კონგოელი ხალხი არის ჩვენი ძმა, და იგი სამართლიან ბრძოლას ეწევა კოლონიალიზმის წინააღმდეგ. მსოფლიოს ყველა ხალხი გმობს იმპერიალიზმსა და კოლონიალიზმს. მაგრამ კოლონიალიზმის დაგმობა სრულიადაც არ არის საკმარისი. კოლონიალიზმის წინააღმდეგ საჭიროა ბრძოლა, რადგან ეს ერთადერთი გზაა მისი მოსპობისათვის. კოლონიური პოლიტიკა მოქმედებაში ნიშნავს ძარცვას. ძარცვისაგან განთავისუფლება კი შეიძლება მხოლოდ ორი გზით: დავიზღვიოთ თავი ყაჩაღობის შემთხვევისაგან ან დავიწყოთ ბრძოლა მძარცველთა წინააღმდეგ. ჩვენ მეორე გზას ვემხრობით, განაცხადა სეკუ ტურემ.

სეკუ ტურემ აღნიშნა, რომ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ეგრეთწოდებულ დახმარებას იყენებდნენ არეულობის გასაძლიერებლად კონგოში და მიმართული იყო კანონიერი ცენტრალური მთავრობის წინააღმდეგ. ამიტომ, განაცხადა მან, უნაყოფოა ვხარჯავდეთ მილოცვებს ახალ სახელმწიფოთა სახელზე, მაშინ როცა ცდილობენ წაართვან ამ ქვეყნების ხალხებს ეს-ეს არის მოპოვებული თავისუფლება. სეკუ ტურემ ილაპარაკა იმის შესახებ, რომ უწინარეს ყოვლისა საჭიროა ახალი ქვეყნების ხალხებს შესაძლებლობა მიეცეთ ნამდვილად ისარგებლონ თავიანთი თავისუფლებით. ჩვენ, განაგრძო მან, მოვუწოდებთ ყველა სახელმწიფოს ეფექტიანად დაიცვან კანონიერება კონგოში. გაერთიანებული ერების ორგანიზაცია, ხაზგასმით აღნიშნა მან, არ უნდა დაეხმაროს ხელისუფლების უზურპატორებს, რომლებიც კოლონიზატორთა კმაყოფაზე არიან. გვინეის რესპუბლიკის პრეზიდენტმა ილაპარაკა იმის შესახებ, რომ საჭიროა დახმარება გაუწიონ კონგოს კანონიერ ცენტრალურ მთავრობას და გადაჭრით განაცხადა, რომ ამ მთავრობის წარმომადგენლებს მონაწილეობა მიაღებინონ გენერალური ასამბლეის მუშაობაში. ამ მოთხოვნასა და მის სიტყვებს, რომ ლუმუმბას მთავრობა კანონიერი მთავრობაა, ბევრი დელეგატი ტაშით შეხვდა.

გვინეის რესპუბლიკის დელეგაციის მეთაურმა გენერალური ასამბლეის განსახილველად შეიტანა რეზოლუციის პროექტი, რომელშიც გათვალისწინებულია, რომ კონგოს ცენტრალური მთავრობის წარმომადგენელმა დაუყოვნებლივ დაიკავოს ადგილი, რომელიც კონგოს რესპუბლიკის დელეგაციისთვისაა განკუთვნილი.

სეკუ ტურემ აღნიშნა, რომ უკანასკნელი 15 წლის განმავლობაში მსოფლიოში დიდი ცვლილებები მოხდა. კერძოდ, ახლა აფრიკის სახელმწიფოთა დელეგაციები გენერალური ასამბლეის მეოთხედ ნაწილს შეადგენენ. გვინეის პრეზიდენტმა მოითხოვა გაერთიანებული ერების ორგანიზაციის სტრუქტურის შეცვლა და გაერთიანებული ერების ორგანიზაციის უმნიშვნელოვანეს ორგანოებში აფრიკის სახელმწიფოთა წარმომადგენლობის გაფართოება. მან აგრეთვე წინადადება წამოაყენა, რომ შემოღებულ იქნას გენერალური მდივნის სამი მოადგილის პოსტები, რომლებიც დაინიშნებიან ქვეყნების სამი უმნიშვნელოვანესი ჯგუფების რეკომენდაციით.

სეკუ ტურემ განაცხადა, რომ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის აფრიკის ეკონომიური კომისიის წევრები უნდა იყვნენ მხოლოდ აფრიკის სახელმწიფოთა წარმომადგენლები, და არა ისინი, რომლებიც ექსპლოატაციას უწევენ აფრიკას.

გვინეის რესპუბლიკის პრეზიდენტმა გადაჭრით მოითხოვა, რომ აღდგენილ იქნას სახალხო ჩინეთის კანონიერი უფლებები გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში.

მან გამოხატა აფრიკის ხალხთა დიდი დაინტერესება განიარაღების პრობლემის გადაჭრის საქმეში და გულისწყრომით დაგმო საფრანგეთის მთავრობის მოქმედება, რომელიც განაგრძობს ატომური იარაღის გამოცდას საჰარაში. სეკუ ტურემ აგრეთვე აღნიშნა, რომ საჭიროა გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გადამწყვეტი მოქმედება ალჟირში ომის შესაწყვეტად და ალჟირელი ხალხისათვის თავისუფლებისა და დამოუკიდებლობის მისანიჭებლად.

გვინეის რესპუბლიკის პრეზიდენტმა ილაპარაკა იმ მიღწევებზე, რაც გვინეელმა ხალხმა მოიპოვა. ჩვენში, თქვა მან, დამყარებულია ხალხის ნამდვილი დემოკრატია ხალხისათვის. გვინეელი ხალხი ერთიანია, როგორც არასოდეს არ ყოფილა, განაცხადა სეკუ ტურემ, და ეს არის ნამდვილი დამოუკიდებლობის გასაღები არა მარტო გვინეისათვის, არამედ აფრიკის სხვა სახელმწიფოსთვისაც.

ტაშის გრიალში სეკუ ტურემ ხაზგასმით აღნიშნა: კოლონიალისტებმა ერთხელ და სამუდამოდ უნდა გაიგონ, რომ გვინეელი ხალხი ადგას პროგრესის გზას.

გვინეის დელეგაციის მეთაურმა წინადადება წამოაყენა, რომ გენერალური ასამბლეის XV სესიამ ნათლად დაუჭიროს მხარი ყველა ფორმის კოლონიური რეჟიმის დაუყოვნებლივ და სრულად აღმოფხვრას.

შემდეგ მან ჩამოაყალიბა თავისი ქვეყნის პოზიცია იმ ძირითად პრობლემებში, რომლებიც გენერალურმა ასამბლეამ უნდა გადაჭრას. ჩვენ, თქვა გვინეის დელეგაციის მეთაურმა, მოვითხოვთ საყოველთაო და სრულ განიარაღებას, როგორც სტაბილიზაციის ფაქტორს. ჩვენ მოვითხოვთ, რომ საქვეყნოდ გამოცხადდეს კოლონიალიზმისა და მეურვეობის სისტემის დაუყოვნებლივ შეწყვეტა, რაც უდიდესი წვლილი იქნებოდა კაცობრიობის კეთილდღეობის საქმეში. ჩვენი რეზოლუციის პროექტის შესაბამისად მოვითხოვთ, რომ კონგოს დელეგაციას, რომელიც პრემიერ ლუმუმბას მთავრობამ გამოგზავნა, ნება დართონ დაიკავოს კუთვნილი ადგილი ასამბლეაში. ჩვენ მხარს ვუჭერთ განის რესპუბლიკის პრეზიდენტის ნკრუმას წინადადებას კონგოში აფრიკის ქვეყნების როლის შესახებ. ჩვენ გაერთიანებული ერების ორგანიზაციისაგან მოვითხოვთ, რომ გულწრფელი დახმარება გაუწიოს კონგოს ტერიტორიული მთლიანობისა და დემოკრატიული ინსტიტუტების ნორმალური მუშაობის უზრუნველყოფის საქმეში. ჩვენ მოვითხოვთ ალჟირში განხორციელდეს სახალხო პლებისციტი გაერთიანებული ერების ორგანიზაციის კონტროლით. ჩინეთის სახალხო რესპუბლიკას უნდა დაუბრუნდეს კანონიერი ადგილი გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში. პალესტინის პრობლემის სწორი გადაჭრის მიზნით არაბ მოსახლეობას იქ უნდა მიენიჭოს კანონიერი უფლებები. ჩვენ მოვითხოვთ, რომ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის სტრუქტურის შეცვლის გზით აზიისა და აფრიკის ქვეყნებმა მოიპოვონ სამართლიანი წარმომადგენლობა ამ საერთაშორისო ორგანიზაციაში.

დარბაზი მქუხარე, ხანგრძლივი ტაშით შეხვდა სეკუ ტურეს საბოლოო სიტყვებს, რომელმაც მოუწოდა ასამბლეას იმოქმედოს მშვიდობისა და უშიშროების, ხალხთა მეგობრობისა და თანამშრომლობის ინტერესებით. ბევრი დელეგატი წამოდგა, როცა სეკუ ტურემ დაამთავრა სიტყვა და ჩამოვიდა ტრიბუნიდან.

ნ. ს. ხრუშჩოვმა ხელი ჩამოართვა მას, როცა გვინეის რესპუბლიკის პრეზიდენტმა ჩაუარა საბჭოთა დელეგაციას.

ნიუ-იორკი, 11 ოქტომბერი. (საქდესი). გუშინ 15 საათსა და 44 წუთზე ადგილობრივი დროით (22 საათსა და 44 წუთზე მოსკოვის დროით) გაიხსნა გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური ასამბლეის XV სესიის დღის სხდომა. სხდომაზე პირველი გამოვიდა მალაის დელეგაციის მეთაური **ქამილი,** რომელმაც შეაქო გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური მდივანი იმ საქმიანობისათვის, რაც მან კონგოში განახორციელა. ორატორმა ნიანგის ცრემლები დაღვარა „ტიბეტში არსებული მდგომარეობის“ გამო და მადლობა გადაუხადა ბრიტანეთის ერთა თანამეგობრობის იმ წევრებს, რომლებმაც დახმარება გაუწიეს მალაელ რეაქციონერებს ამ ქვეყანაში ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის წინააღმდეგ საბრძოლველად.

ტუნისის წარმომადგენლის **მონჯი სლიმის** სიტყვით, ის ფაქტი, რომ სესიას ესწრებიან ბევრი სახელმწიფოსა და მთავრობის მეთაურები, აგრეთვე საკითხები, რომლებიც ასამბლეის წინაშე დგას, განსაკუთრებით დიდ მნიშვნელობას ანიჭებს მას. მან იმედი გამოთქვა, რომ ყველა პრობლემა დადებითად გადაიჭრება. ტუნისის დელეგატმა განაცხადა, რომ რადგანაც გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში კერძო ინტერესები ჭარბობენ საერთო ინტერესებს, აფრიკა არ უნდა დაადგეს ბლოკებისადმი შეერთების გზას, და ამასთან დაკავშირებით აზრი გამოთქვა გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური მდივნის კოლექტიური ორგანოთი შეცვლის წინააღმდეგ.

მონჯი სლიმი დაწვრილებით შეეხო ალჟირის პრობლემას და კონგოში არსებულ მდგომარეობას. ალჟირი, თქვა მან, ერთადერთი ქვეყანაა მსოფლიოში, სადაც მრავალი წლის განმავლობაში უმოწყალო ომი მიმდინარეობს. გააკრიტიკა რა საფრანგეთის მთავრობის მოქმედება, მან აღნიშნა, რომ მოლაპარაკება მეტად არ უნდა განვიხილოთ როგორც კონფლიქტის მოწესრიგების ერთადერთი მეთოდი. იმისათვის, რომ შეწყდეს ეს ტრაგედია, თქვა მან, საჭიროა გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ჩარევა-პლებისციტის მოწყობა.

ბირმის დელეგაციის მეთაურმა **უ ტანმა** აღნიშნა, რომ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური ასამბლეის ეს სესია იპყრობს მთელი მსოფლიოს ყურადღებას როგორც მის წინაშე მდგომი პრობლემების დიდი მნიშვნელობით, აგრეთვე იმის გამო, რომ სესიის მუშაობაში მონაწილეობენ მრავალი ქვეყნის გამოჩენილი სახელმწიფო მოღვაწეები.

უ ტანმა განაცხადა, რომ, ბირმის აზრით, ახლანდელი საერთაშორისო დაძაბულობის მთავარი მიზეზია ცივი ომის განგრძობა და ის, რომ მსოფლიოში არსებობს ორი მოპირისპირე ქვეყნების ბლოკი. ბირმის მთავრობა, თქვა მან, ახორციელებდა და კვლავაც განახორციელებს აქტიური ნეიტრალიტეტის პოლიტიკას. ამავე დროს იგი ესწრაფვის შეიქმნას ნეიტრალური ქვეყნების ახალი ბლოკი.

უ ტანი შეეხო უმაღლესი დონის პარიზის თათბირის ჩაშლას და მოიყვანა ბირმის პრემიერ-მინისტრის უ ნუს სიტყვები, რომელმაც განაცხადა, რომ ამერიკის „უ-2“ თვითმფრინავის ფრენა საერთაშორისო სამართლის დარღვევა იყო, მაგრამ ეს „არ ამართლებს უმაღლესი დონის თათბირის ჩაშლას“.

ბირმის წარმომადგენელმა ხაზი გაუსვა განიარაღების პრობლემის რაც შეიძლება მალე გადაჭრის დიდ მნიშვნელობას და განაცხადა, რომ გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის მონაწილეობის მიუღებლობას უაღრესად უარყოფითი შედეგები მოაქვს.

ამასთან დაკავშირებით, თქვა მან, ის ფაქტი, რომ გენერალურმა ასამბლეამ გასულ შაბათს უარყო დღის წესრიგში ჩინეთის წარმომადგენლობის საკითხის შეტანაც კი, იმის დემონსტრაციაა, რომ ჩვენ არ შეგვიძლია ანგარიში გავუწიოთ რეალობას. უ ტანმა სინანული გამოთქვა იმის გამო, რომ დასავლეთმა მყისვე უარყო ჯოუ ენ-ლაის ის წინადადება, რომ შეიქმნას უატომო ზონა, შორეული აღმოსავლეთისა და წყნარი ოკეანის მთელი რაიონის მშვიდობის ზონა. ბირმის წარმომადგენელმა თქვა, რომ ეს წინადადება უაღრესად დიდ ყურადღებას იმსახურებს.

შემდეგ შეეხო რა ალჟირში არსებულ მდგომარეობას, ბირმის დელეგაციის მეთაურმა ხაზგასმით აღნიშნა, რომ საომარი მოქმედება, რომელიც ამ ქვეყანაში გრძელდება, დიდ შეშფოთებას იწვევს მთელ მსოფლიოში, ამწვავებს საერთაშორისო ურთიერთობას, აძლიერებს საერთაშორისო დაძაბულობას და საფრთხეს უქმნის მთელი მსოფლიოს მშვიდობას. ამიტომ, განაგრძო უ ტანმა, აზიისა და აფრიკის 25 ქვეყანამ მოითხოვა დღის წესრიგში შეგვეტანა ალჟირის საკითხი. ბირმის წარმომადგენელმა დაგმო საფრანგეთის მთავრობა იმისათვის, რომ იგი უარს ეუბნება ალჟირელ ხალხს თვითგამორკვევის უფლებაზე, აღიარებს რა ამ უფლებას მხოლოდ სიტყვით, და განაცხადა: საფრანგეთის მთავრობა ახლა აწარმოებს ორ ომს, რომლებიც სრულიადაც არაფერს მატებს მის ღირსებას. ალჟირში ეს მთავრობა ეომება ალჟირელ ნაციონალისტებს. საფრანგეთში იგი ეომება ფრანგ რედაქტორებს, მწერლებს, ინტელიგენციას.

ბირმის წარმომადგენელი დასასრულ შეეხო კონგოში არსებულ მდგომარეობას და მოიწონა გაერთიანებული ერების ორგანიზაციის საქმიანობა ამ ქვეყანაში, აზრი გამოთქვა იმის წინააღმდეგ, რომ გენერალური მდივნის პოსტი შეიცვალოს კოლექტიური ორგანოთი, რომლის შემადგენლობაში იქნებიან სახელმწიფოთა სამი ძირითადი ჯგუფის წარმომადგენლები.

დღის პლენარულ სხდომაზე უკანასკნელი გამოვიდა ისრაელის საგარეო საქმეთა მინისტრი **ჰოლდა მეირი.** უწოდა რა ახალ სახელმწიფოთა მიღებას გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში კა- [illegible] არ უნდა ვისაზრდოოთ იმ ილუზიებით, თითქოს პოლიტიკური დამოუკიდებლობა ავტომატურად უზრუნველყოფს ყველა პრობლემის გადაჭრას. მეირმა განაცხადა, რომ ისრაელი მზადაა „უანგარო“ დახმარება გაუწიოს ახალ სახელმწიფოებს. მან სავსებით დაუჭირა მხარი გაერთიანებული ერების ორგანიზაციის როლს კონგოს საქმეებში. შეშფოთება გამოთქვა რა იმის გამო, რომ განიარაღების დარგში არ არის პროგრესი, ისრაელის საგარეო საქმეთა მინისტრმა მხარი დაუჭირა მაკმილანის წინადადებას, რათა შეიქმნას ტექნიკური ჯგუფი ამ პრობლემის შესასწავლად.

ისრაელის წარმომადგენლის სიტყვის მნიშვნელოვანი ნაწილი მიეძღვნა თავდასხმებს არაბულ ქვეყნებზე და თავისი მთავრობის საგარეო პოლიტიკის გამართლებას.

ნიუ-იორკი, 11 ოქტომბერი. (საქდესი). 10 ოქტომბრის საღამოს პლენარულ სხდომაზე გენერალურმა ასამბლეამ განაგრძო XV სესიის დღის წესრიგის განხილვა. ასამბლეამ განუხილველად შეიტანა დამოუკიდებელ პუნქტებად განიარაღების საკითხები.

სამხრეთ აფრიკის კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრის წინააღმდეგობის მიუხედავად დღის წესრიგში შეტანილია სამხრეთ აფრიკაში რასობრივი დისკრიმინაციის საკითხი. განუხილველად შეტანილია აგრეთვე ალჟირის საკითხი.

შემდეგ ასამბლეას წინადადება მიეცა განსაზღვროს თავისი დამოკიდებულება ეგრეთწოდებული „ტიბეტის საკითხისადმი“, რომლის გამო რეკომენდაცია გენერალურმა კომიტეტმა გამოიტანა შეერთებული შტატების ზეგავლენით. ადვოკატების საძრახისი როლი იკისრეს ამ საქმეში ახალი ზელანდიის, სალვადორისა და ირლანდიის დელეგატებმა, რომლებიც მეტი „დამაჯერებლობისათვის“ უსინდისოდ სწამებდნენ ცილს ჩინეთის სახალხო რესპუბლიკას. ამ პროვოკაციული საკითხის შეტანის წინააღმდეგ გადაჭრით გაილაშქრეს ინდონეზიის, საბჭოთა კავშირისა და რუმინეთის წარმომადგენლებმა.

ტიბეტი, განაცხადა ინდონეზიის საგარეო საქმეთა მინისტრმა **სუბანდრიომ,** ყოველთვის ექვემდებარებოდა ჩინეთის მთავრობის იურისდიქციას და ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის განუყოფელი ნაწილია. ეს არ გვაძლევს უფლებას ჩავერიოთ სუვერენული სახელმწიფოს საშინაო საქმეებში. მან სინანული გამოთქვა, რომ ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის მთავრობა მოკლებულია შესაძლებლობას გამოგზავნოს თავისი წარმომადგენლები „ტიბეტის საკითხის“ განხილვაში მონაწილეობისათვის და ამით დაიცვას თავი მის წინააღმდეგ წამოყენებული ბრალდებებისაგან.

საბჭოთა კავშირის წარმომადგენელმა **ვ. ზორინმა** განაცხადა, რომ საბჭოთა დელეგაცია გადაჭრით ილაშქრებს გენერალური კომიტეტის იმ რეკომენდაციის წინააღმდეგ, რომ გენერალური ასამბლეის XV სესიის დღის წესრიგში შეიტანონ ეგრეთწოდებული „ტიბეტის საკითხი“, რამდენადაც ეს საკითხი, არსებითად, შეადგენს ჩინეთის სახელმწიფოს საშინაო კომპეტენციას. ისევე როგორც შარშან, განაგრძო მან, „ტიბეტის საკითხის“ გენერალური ასამბლეის დღის წესრიგში შეტანის ინიციატორები ცდილობენ ჩამოაშორონ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ყურადღება იმას, რომ საჭიროა გადაიჭრას აქტუალური საერთაშორისო პრობლემები, რომლებსაც საარსებოდ დიდი მნიშვნელობა აქვთ მსოფლიოს ყველა ხალხისათვის, დაუბრუნონ გენერალური ასამბლეა „ცივი ომის“ უარეს დროს, სახელი გაუტეხონ ჩინეთის სახალხო რესპუბლიკას და გამოიყენონ გაერთიანებული ერების ორგანიზაცია მშვიდობისა და საერთაშორისო უშიშროების საქმის საზიანოდ.

შეერთებული შტატების და მთელი რიგი სხვა ქვეყნების წარმომადგენლებს სურთ გაერთიანებული ერების ორგანიზაცია დააყენონ ჩინეთის სახელმწიფოს საშინაო საქმეებში ჩარევის გზაზე, ამავე დროს ხელს უშლიან ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის კანონიერ უფლებათა აღდგენას. ეს მოწმობს, განაცხადა ვ. ზორინმა, რომ ეგრეთწოდებული „ტიბეტის საკითხის“ პროვოკაციული დაყენება ისახავს არა საერთაშორისო ვითარების შენელებისა და სახელმწიფოთა ურთიერთობის გაუმჯობესების მიზანს, არამედ სულ სხვა მიზნებს. საბჭოთა დელეგაციის სახელით ვ. ზორინმა მოუწოდა ყველა სახელმწიფოს წარმომადგენლებს უარყონ გენერალური კომიტეტის ის წინადადება, რომ სესიის დღის წესრიგში შეიტანონ „ტიბეტის საკითხი“, რადგან ეს ხელს უშლის სახელმწიფოთა თანამშრომლობასა და ურთიერთგაგებას.

წინააღმდეგობის მიუხედავად „ტიბეტის საკითხს“ კენჭი უყარეს. 13 დელეგაციამ (სოციალისტური ბანაკის ქვეყნების, იუგოსლავიის, გვინეის, ინდონეზიის, მალის) ხმა მისცა წინააღმდეგ; 35 ქვეყნის, უმთავრესად აფრიკისა და აზიის ქვეყნების დელეგაციებმა თავი შეიკავეს. ამერიკის შეერთებული შტატების მოკავშირე ქვეყნების 49 დელეგაციამ მორჩილად ხმა მისცა ამ ხელოვნურად შექმნილი საკითხის შეტანას გენერალური ასამბლეის XV სესიის დღის წესრიგში.

ასამბლეამ აგრეთვე მიიღო გადაწყვეტილება, რომ დღის წესრიგში შეიტანონ ეგრეთწოდებული უნგრეთის საკითხი. ამ უკვე დახავსებულ საკითხს, განაცხადა უნგრეთის წარმომადგენელმა იანოშ ხიტამ, თავს გვახვევენ შეერთებული შტატები. უნგრეთის დელეგატმა ხაზი გაუსვა იმას, თუ რამდენად მავნეა ეს ყველასათვის მობეზრებული საკითხი, მიუხედავად მისი დახავსებულობისა, და აღნიშნა, რომ ამ საკითხის დაყენება უკანონოა, ეწინააღმდეგება გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წესდებას და ცივი ომის ნაყოფია. ამ საკითხის დაყენების მიზანია, ხაზგასმით აღნიშნა მან, ჩამოაშორონ დელეგატების ყურადღება უმნიშვნელოვანესი საერთაშორისო პრობლემების განხილვას.

ყბადაღებული უნგრეთის საკითხის შეტანას დღის წესრიგში ხმა მისცა 54 დელეგაციამ, წინააღმდეგ — 12 დელეგაციამ, თავი შეიკავა 31 დელეგაციამ.

ამით დამთავრდა ასამბლეის დღის წესრიგის განხილვა. დღეს დღის სხდომაზე ასამბლეა დაიწყებს დღის წესრიგის პუნქტების განაწილებას მუშა კომიტეტებში.

ბევრი ქვეყნის წარმომადგენლები, რომლებიც ხმას აძლევენ ამერიკის შეერთებული შტატების წინადადებებს, შემდეგ მოდიან ჩვენთან და განგვიმარტავენ თავიანთ პოზიციას. ისინი ამბობენ: სულითა და გულით თქვენთან ვართ, მაგრამ ისეთ მდგომარეობაში ვიმყოფებით, რომ არ შეგვიძლია ხმა მივცეთ ამერიკის წინააღმდეგ, ჯერჯერობით იძულებული ვართ ხმა მივცეთ იმას, რასაც ამერიკის შეერთებული შტატები მოითხოვენ.

ნ. ს. ხრუშჩოვის საუბრიდან ამერიკის ტელევიზიით.



დოლარის ძალა

ნახ. ო. ქოქიაშვილისა.

მდგომარეობა კონგოში

პარიზი, 11 ოქტომბერი. (საკდესი). ლეოპოლდვილიდან მიღებული ცნობებით, კონგოს რესპუბლიკის დედაქალაქში კვლავ უაღრესად დაძაბული მდგომარეობაა. როგორც ფრანს პრესის სააგენტოს კორესპონდენტი იუწყება, პოლკოვნიკი მობუტუ კვლავ უყრის თავს ქალაქში ძლიერ სამხედრო მაშველ ძალებს.

9 ოქტომბერს საღამოს პრემიერ-მინისტრმა ლუმუმბამ იმოგზაურა ლეოპოლდვილში. მოსახლეობა მას აღტაცებით შეხვდა. ამის შემდეგ მობუტუს განკარგულებით ჯარისკაცთა და ჟანდარმთა რაზმმა დაახლოებით ათასი კაცის შემადგენლობით მოახდინა პატრის ლუმუმბას რეზიდენციის ბლოკირება.

მეორე რაზმი გარს შემოერტყა პარლამენტის შენობას და არ შეუშვა იქ დეპუტატები, რომლებიც დღეს დილით გამოიძახა დეპუტატთა პალატის თავმჯდომარე კასონგომ პარლამენტის სხდომაში მონაწილეობის მისაღებად. პარლამენტის მოედანი ახლა სამხედრო ბანაკს მოგვაგონებს.

როგორც აღნიშნულია უცხოეთის სააგენტოთა ცნობებში, მიუხედავად კოლონიზატორთა და მათი აგენტურის მხეცური რეპრესიებისა, კატანგაში იზრდება ბრძოლა ჩომბეს მარიონეტული რეჟიმის წინააღმდეგ. ერთ თვეზე მეტია გრძელდება ბალუბის ტომის აჯანყება.

როგორც ფრანს პრესის სააგენტოს კორესპონდენტი ელიზაბეტვილიდან იუწყება, კატანგის ჩრდილო-აღმოსავლეთ ნაწილში აჯანყებულებმა აყარეს რკინიგზის ლიანდაგი ქალაქებს კაბონდო-დიანდასა და ბუკამას შორის. ამის შედეგად ლიანდაგს ასცდა მატარებელი, რომელიც მოდიოდა ბელგიის კამინის სამხედრო ბაზიდან იარაღის დიდი ტვირთით ჩომბეს არმიისათვის. 7 ოქტომბერს აჯანყებულებმა ხელთ იგდეს კაბალოს აეროდრომი და შეინარჩუნეს იგი დაახლოებით სამ საათს. ქალაქ კაბალოს რაიონში შეტაკებანი ჩომბეს პოლიციასა და ბალუბას ტომის აჯანყებულთა შორის 9 ოქტომბერსაც გრძელდებოდა. მოკლულთა შორის არიან პოლიციის კომისარი და მისი მოადგილე — ორივე ბელგიელი. ქალაქ მიტვაბში აჯანყებულები გარს შემოერტყნენ კატანგის ჟანდარმერიის რაზმს.

ლონდონი, 11 ოქტომბერი. (საკდესი). საინფორმაციო სააგენტოების ცნობების მიხედვით, რომლებიც მიღებულია ლეოპოლდვილიდან, კონგოს რესპუბლიკის დედაქალაქში ვითარება დღეს მეტისმეტად გამწვავდა ახალი ავანტიურის შედეგად, რომელიც წამოიწყო პუტჩისტების ხროვამ პოლკოვნიკ მობუტუს მეთაურობით პატრის ლუმუმბას კანონიერი მთავრობის დასამხობად. პუტჩისტებმა ულტიმატუმი წაუყენეს გაერთიანებული ერების ორგანიზაციის შეიარაღებული ძალების ნაწილებს კონგოში, რომლებიც პრემიერ-მინისტრის რეზიდენციას იცავენ, და მოითხოვეს ამ ნაწილების გაყვანა და ლუმუმბას გადაცემა პუტჩისტებისათვის.

პოლკოვნიკ მობუტუს ერთ-ერთმა დამხმარემ ჟიუსტენ ბომბოკომ განაცხადა, რომ „გაცემულია ლუმუმბას დაპატიმრების ორდერი", და იმუქრებოდა, რომ „თუ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ჯარებმა წინააღმდეგობა გასწიეს, არმია მათ შეებრძოლებაო".

საერთაშორისო ცხოვრება

დეპეშები, ცნობები, მიმოხილვა

ტოლიატის გამოსვლა

რომი, 10 ოქტომბერი. (საკდესი). მომავალ მუნიციპალურ არჩევნებთან დაკავშირებით იტალიის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივანი პალმირო ტოლიატი გამოვიდა მიტინგზე ფლორენციაში, რომელშიც მონაწილეობა მიიღო 50 ათასმა კაცმა. დაახასიათა რა იტალიაში შექმნილი მდგომარეობა, ტოლიატიმ აღნიშნა მძიმე პირობები, რომლებშიც მშრომელები იმყოფებიან ეკონომიური პოლიტიკის გამო, რასაც ქრისტიანულ-დემოკრატიული მთავრობა ახორციელებს. მიუხედავად იმისა, რომ მსხვილი მონოპოლიების მოგება ძლიერ გადიდდა, თქვა მან, იტალიელი მუშების ხელფასი კვლავ ყველაზე დაბალია დასავლეთ ევროპაში, მათი შრომა კი მნიშვნელოვნად უფრო ინტენსიური გახდა. სოფლის მეურნეობა კრიზისს განიცდის, რასაც მოწმობს გლეხთა გაქცევა სოფლებიდან. მარტო ტოსკანაში 115 ათასმა გლეხმა მიატოვა მიწა.

ტოლიატიმ გააკრიტიკა სოციალ-დემოკრატიული და რესპუბლიკური პარტიები იმის გამო, რომ თავიანთი ანტიკომუნისტური პოლიტიკით ისინი ხელს უწყობენ ქრისტიანულ-დემოკრატიულ პარტიას. მან აღნიშნა, რომ კომპარტია ესწრაფვის ერთიანობასა და თანამშრომლობას სოციალისტურ პარტიასთან და მოუწოდა სოციალისტებს იკისრონ „კონკრეტული ვალდებულება — აწარმოონ ბრძოლა ქრისტიანულ-დემოკრატიული პარტიის წინააღმდეგ".

დასასრულ ტოლიატიმ თქვა, რომ „მემარცხენე ძალების მიზანია ქრისტიანულ-დემოკრატიული პარტიის მონოპოლიური ძალაუფლების ლიკვიდაცია, რათა გამოვგლიჯოთ მას ზედიზედ პოზიციები, რომლებიც უკავია, და ამრიგად დავსახოთ განახლების პერსპექტივა".

მილიტარისტთა თავყრილობა

ლიმბურგი, 10 ოქტომბერი. საკდესის კორესპონდენტი ი. ბორისოვი გადმოგვცემს:

ორ დღეს დასავლეთ გერმანიის წყნარ ქალაქ ლიმბურგში მიმდინარეობდა მორიგი მილიტარისტული თავყრილობა. ლიმბურგი არჩეულ იქნა მეექვსე ჰიტლერული არმიის ყოფილი ჯარისკაცებისა და ოფიცრების „შეხვედრის" ადგილად; ეს არმია ერთ დროს გარშემორტყმულ და განადგურებულ იქნა სტალინგრადთან საბჭოთა ჯარების მიერ.

ამ მილიტარისტული ღონისძიების ოფიციალურ მიზნებად გამოაცხადეს „უკვალოდ დაკარგულთა ბედის გამორკვევა" და „ამხანაგობის სულისკვეთებისათვის მხარდაჭერა", მაგრამ სინამდვილეში „შეხვედრას" ცოტა რამ ჰქონდა საერთო ამ ამოცანებთან.

დასავლეთ გერმანიის ხელისუფალნი მეტად გულისხმიერი იყვნენ თავყრილობის მონაწილეებისადმი, საკმაოა ითქვას, რომ ამ ორგანიზაციის შეფობა იკისრა ჰესენის მხარის პრემიერ-მინისტრმა ცინმა. დარბაზში სტუმრად იყვნენ ბუნდესვერის გენერლები და ოფიცრები და ლიმბურგის ეპისკოპოსი კემპფი. სპეციალური დელეგაცია ჩამოვიდა ავსტრიიდან.

ორი დღის მანძილზე სცენიდან არ უთქვამთ არც ერთი სიტყვა დანაშაულებრივი ჰიტლერული ომის დაგმობისათვის. პირიქით, აშკარად ცდილობდნენ გაემართლებინათ ომი და ქება-დიდება შეესხათ სტალინგრადთან ფაშისტ მეომართა „გმირობისათვის".

ბუნდესვერის გენერალმა გერმანმა თავყრილობის მონაწილეებს გადასცა ბუნდესვერის ჯარისკაცთა „გულითადი მისალმება". ჩვენთვის, თქვა მან, სტალინგრადი არის ძალისა და ჯარისკაცთა ტრადიციების წყარო. გერმანელი „ჯარისკაცების ბრძოლა, ტანჯვა და თვით სიკვდილი სტალინგრადთან, განაცხადა გენერალმა, წარმოადგენს „სერიოზულ მაგალითს ახალგაზრდა გერმანელი ჯარისკაცებისათვის".

ლიმბურგის „შეხვედრა" არის დასავლეთ გერმანიაში ახლანდელი შინაპოლიტიკური ვითარების მეტად დამახასიათებელი ფაქტორი. იგი ცხადყოფს, რომ მილიტარიზმის პროპაგანდასა და ომის ქებას სავსებით და აშკარად უჭერენ მხარს გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის ოფიციალური ხელისუფალნი და ბურჟუაზიული პოლიტიკური პარტიების ხელმძღვანელობანი.



ნიუ-იორკი. ქალაქის მცხოვრებლები გაერთიანებული ერების ორგანიზაციის შენობასთან პლაკატებით, რომლებზეც წარწერილია, რომ ისინი მხარს უჭერენ კუბას, მოითხოვენ ჩინეთის სახალხო რესპუბლიკა მიღებულ იქნას გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წევრად, ბოლო მოეღოს „ცივ ომს", დაცულ იქნას მშვიდობა.

ფოტო პრენსა ლატინას სააგენტოსი.

ტელეგრაფი გვატყობინებს

მოლაპარაკება ლაოსში

ნიუ-იორკი, 11 ოქტომბერი. (საკდესი). როგორც ასოშიეიტედ პრესის სააგენტოს კორესპონდენტი ვიენტიანიდან იუწყება, იქ დღეს დაიწყო მოლაპარაკება ლაოსის მეფის მთავრობისა და პარტია ნეო ლაო ჰაკ სატის წარმომადგენელთა შორის.

როგორც წინათ ვიუწყებოდით, მოლაპარაკების მიზანია ჟენევისა და ვიენტიანის შეთანხმებათა სულისკვეთებით გადაიჭრას ყველა საკითხი, რომლებიც ორივე მხარეს ეხება.

ბუნდესვერის ოფიცრები საფრანგეთში

პარიზი, 11 ოქტომბერი. (საკდესი). ბუნდესვერის სრული ფორმით გამოწყობილი ორასი დასავლეთგერმანელი ოფიცერი ჩავიდა ტულონს, იუწყება გაზეთი „ლიბერასიონი" იმის შესახებ, რომ საფრანგეთის უდიდეს სამხედრო-საზღვაო ბაზას ეწვიენ „მოკავშირენი რაინის გაღმიდან".

გუშინ ბუნდესვერის ოფიცრები გაეცნენ ტულონის არსენალს და ძირითად სამხედრო ობიექტებს მის გარშემო.

ჩვენი ქვეყნის მოსახლეობის დიდი უმრავლესობის ნების წინააღმდეგ, აღნიშნავს გაზეთი „ლიბერასიონი", საფრანგეთის მთავრობა, რომელსაც ადენაუერი აჩქარებს, ადგება გზას, რომლით სიარულზეც ფრანგებმა უარი თქვეს, უარყვეს რა ეგრეთწოდებული „ევროპის თავდაცვითი გაერთიანება".

მეორე მსოფლიო ომის დროს ფრანგებმა, ხაზს უსვამს გაზეთი, არჩიეს ჩაეძირათ თავიანთი ფლოტი, „როგორც კი გერმანელი ჯარისკაცები ტულონში შევიდნენ. ახლა კი, დე გოლის დროს, მათ იქ იღებენ როგორც სტუმრებს..."

მღელვარება სამხრეთ კორეაში

ფხენიანი, 11 ოქტომბერი. (საკდესი). სამხრეთ კორეაში გრძელდება მოსახლეობის მასობრივი გამოსვლები მთავრობის წინააღმდეგ.

როგორც სამხრეთ კორეის რადიო იუწყება, დღეს დილიდან სეულში ეროვნული კრების შენობის წინ შეიკრიბა ქალაქის 10 ათასზე მეტი მცხოვრები. სრულიად კორეის სტუდენტთა ასოციაციის გადაწყვეტილებით ყველა კოლეჯის მოსწავლეებმა შეწყვიტეს მეცადინეობა და ქუჩებში გამოვიდნენ.

ქალაქის ცენტრში თავი მოუყარეს რამდენიმე ათას პოლიციელს, მაგრამ მათ ვერ შეაკავეს დემონსტრანტთა შეტევა. მოძრაობა სეულში სავსებით პარალიზებულია. დიდძალმა სეულელებმა იერიში მიიტანეს ეროვნული კრების შენობაზე და მოითხოვეს, რომ მოედანზე გამოსულიყო ყველა დეპუტატი და „პატიება ეთხოვა ხალხის წინაშე თავისი შეცდომებისათვის".

როგორც სეულის რადიო იუწყება, ბევრი სტუდენტი შეიჭრა ეროვნული კრების შენობაში.

დემონსტრანტები მოითხოვდნენ რეაქციული კანონების შეცვლას, პოლიციური რეპრესიების დამნაშავეთა მკაცრად დასჯას, სპეციალური კანონის მიღებას „კონტრრევოლუციონერთა დასასჯელად".

ხალხის მღელვარებით შეშინებულმა ქვედა პალატის დეპუტატებმა სასწრაფოდ მიიღეს გადაწყვეტილება კონსტიტუციაში ცვლილებათა შეტანის შესახებ და მიიღეს სპეციალური კანონი ყველა იმ პირთა პასუხისმგებლობის შესახებ, რომლებმაც დანაშაული ჩაიდინეს ლისინმანელთა რეჟიმის დროს. ამავე დროს ქვედა პალატამ მიიღო გადაწყვეტილება დღესვე გამოიძახოს თავის სხდომაზე იუსტიციის მინისტრი და მოსთხოვოს მას ანგარიში სამინისტროს და სასამართლო ორგანოების საქმიანობის შესახებ.

დღესვე ეროვნული კრება შეუდგა ზოგიერთი დეპუტატის წინადადებათა განხილვას სამხედრო ტრიბუნალის შექმნის შესახებ დამნაშავეთა და, კერძოდ, პოლიციის იმ მოხელეთა დასასჯელად, რომლებიც მონაწილეობას იღებდნენ დემონსტრანტთა დახვრეტაში ლისინმანელთა რეჟიმის წინააღმდეგ აჯანყების დროს.

მაროკოს მუსლიმური უნივერსიტეტის 1.100 წლისთავი

მაროკო, 10 ოქტომბერი. (საკდესი). დღეს აქ აღნიშნავენ მუსლიმური უნივერსიტეტის ყარაუინის დაარსების 1.100 წლისთავს. დღესასწაულზე ფესში ჩამოვიდნენ მაროკოს მეფე მოჰამედ V, მთავრობის წევრები, კულტურის მოღვაწეები, დიპლომატიური წარმომადგენლები, აგრეთვე 16 ქვეყნის, მათ შორის სსრ კავშირის, ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის, არაბთა გაერთიანებული რესპუბლიკის, ერაყის, იტალიის, ლიბანის, ტუნისის, თურქეთის, საფრანგეთის, იუგოსლავიისა და სხვების დელეგაციები. საბჭოთა დელეგაციის შემადგენლობაში არიან: აღმოსავლურ ენათა ინსტიტუტის დირექტორი ა. ა. კოვალიოვი და ტაშკენტის უნივერსიტეტის პროფესორი ტ. ზ. ზაჰიდოვი. საზეიმო ცერემონიაზე სიტყვები წარმოთქვეს მეფემ მოჰამედ V, ეროვნული განათლების მინისტრმა და ყარაუინის უნივერსიტეტის რექტორმა. საბჭოთა დელეგაციამ უნივერსიტეტის წარმომადგენლებს გადასცა მოსკოვისა და ტაშკენტის უნივერსიტეტების მისასალმებელი ადრესები, რომლებითაც გამოთქმულია სურვილი წარმატებისა კვალიფიციური კადრების მომზადებაში, რომლებიც ესოდენ საჭიროა მაროკოს კულტურისა და ეკონომიკის განვითარებისათვის.

ამ უკანასკნელ დრომდე ყარაუინის უნივერსიტეტი ფაქტიურად იყო უმაღლესი სასულიერო სემინარია. 1957 წელს მიღებულ იქნა გადაწყვეტილება უნივერსიტეტის რეორგანიზაციის შესახებ, რათა იგი შეეფერებოდეს მეცნიერების თანამედროვე მოთხოვნებს.

დღის წესრიგშია მსოფლიო პრობლემები

აზიისა და აფრიკის ხალხთა სოლიდარობის პირველი საბჭოთა კონფერენცია

სტალინაბადი. 10 ოქტომბერს აქ გაიხსნა აზიისა და აფრიკის ხალხთა სოლიდარობის პირველი საბჭოთა კონფერენცია. ლახუტის სახელობის დრამის აკადემიური თეატრის დარბაზში შეიკრიბნენ შუა აზიისა და ამიერკავკასიის ყველა მოკავშირე რესპუბლიკის, ყაზახეთის, რუსეთის ფედერაციის ავტონომიური რესპუბლიკების დელეგატები. ესწრებიან აზიისა და აფრიკის ქვეყნებიდან ჩამოსული სტუმრები. დღის წესრიგშია თანამედროვეობის საჭირბოროტო საკითხები — ხალხთა ბრძოლა მშვიდობისათვის, კოლონიური და დამოკიდებული ქვეყნების სრული განთავისუფლებისათვის.

კონფერენცია გახსნა საბჭოთა კავშირის აზია-აფრიკის ქვეყნების სოლიდარობის კომიტეტის თავმჯდომარემ, თვალსაჩინო საზოგადო მოღვაწემ მირზო თურსუნ-ზადემ.

დელეგატებს მიესალმა ტაჯიკეთის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატი თურსუნბაი ულჯაბაევი.

ამხ. ულჯაბაევმა გამოაქვეყნა ტაჯიკეთის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის, ტაჯიკეთის სსრ უმაღლესი საბჭოსა და მინისტრთა საბჭოს მისალმება კონფერენციის სახელზე.

მოხსენება „აზიისა და აფრიკის ხალხები კოლონიალიზმისა და იმპერიალიზმის წინააღმდეგ ბრძოლაში და საბჭოთა კავშირის აზია-აფრიკის ქვეყნების სოლიდარობის კომიტეტის მოღვაწეობა" გააკეთა მირზო თურსუნ-ზადემ. მან თქვა, რომ სახალხო ფორუმი, რომელიც მოწვეულია სტალინაბადში, მიმდინარეობს იმ დღეებში, როცა აზიისა და აფრიკის ყველა ხალხი, მთელი პროგრესული კაცობრიობა მხურვალედ განიხილავს და მტკიცედ უჭერს მხარს დეკლარაციას კოლონიური ქვეყნებისა და ხალხებისათვის დამოუკიდებლობის მინიჭების შესახებ, რომელიც გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური ასამბლეის განსახილველად შეიტანა სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარემ ნ. ს. ხრუშჩოვმა.

ღრმა აზრი აქვს იმას, ამბობს მირზო თურსუნ-ზადე, რომ წინადადებანი ყველა ფორმისა და გამოვლინების კოლონიური რეჟიმის სრული ლიკვიდაციის შესახებ გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში შეიტანა სწორედ საბჭოთა მთავრობის მეთაურმა. დეკლარაციის მთელი დებულებანი გამომდინარეობენ მშვიდობისა და ეროვნული დამოუკიდებლობისათვის ჩაგრული ხალხების ბრძოლის მხარდამჭერის პოლიტიკიდან, რომელიც გამოაცხადა საბჭოთა სახელმწიფოს დამფუძნებელმა ვ. ი. ლენინმა. ისტორიამ უკვე სასიკვდილო განაჩენი გამოუტანა კოლონიალიზმს. მაგრამ კოლონიალიზმი კიდევ იწევა წინააღმდეგობას. ამას მოწმობენ კენიის, ალჟირის, კონგოს, ომანის, ლაოსის მაგალითები.

მომხსენებელმა ძმური სოლიდარობა გამოუცხადა კონგოს მებრძოლ ხალხს. ჩვენ სამარცხვინო ბოძზე ვაკრავთ ჰამარშელდს, რომლის ხელითაც კოლონიზატორები ცდილობენ განახორციელონ თავიანთი შავბნელი ზრახვები, თქვა თურსუნ-ზადემ. საბჭოთა ადამიანები სულითა და გულით მიესალმებიან საბჭოთა მთავრობის მეთაურის ამხანაგ ხრუშჩოვის კეთილშობილურ ინიციატივას, რომელმაც კონგოს საკითხი დასვა გენერალური ასამბლეის XV სესიის განსახილველად.

მოიყვანა რა ცნობები სუსტადგანვითარებული ქვეყნებისადმი საბჭოთა კავშირის უანგარო დახმარების შესახებ, მირზო თურსუნ-ზადემ თავის მოხსენებაში დიდი ადგილი დაუთმო საყოველთაო და სრული განიარაღების საკითხებს.

სტალინაბადელ ბავშვთა სახელით კონფერენციის მონაწილეებს მიესალმნენ ნორჩი პიონერები.

კამათში პირველი გამოვიდა ყაზახეთის სსრ პროფკავშირთა საბჭოს თავმჯდომარე სალინგერეი თოქთამისოვი, რომელმაც აღნიშნა, თუ რა დიდი თანაგრძნობით ეპყრობიან საბჭოთა პროფკავშირები აზიისა და აფრიკის ხალხთა ბრძოლას თავისუფლებისა და ეროვნული დამოუკიდებლობისათვის.

აზერბაიჯანის მშრომელთა სახელით სიტყვა წარმოთქვა წარჩინებულმა მენავთობემ ყურბან აბას ყული ოღლი აბასოვმა.

კონფერენციის ტრიბუნიდან მამაცურად გაისმა აზიისა და აფრიკის ხალხთა სოლიდარობის იაპონიის კომიტეტის დელეგატის ტაკენდო მაკინოუტის სიტყვები.

დამსწრეებმა დიდი ყურადღებით მოისმინეს სომხეთის დელეგატის პროფესორ ანუშავან-ვაიკ ვართანიანის სიტყვა. მისი გამოსვლით დამთავრდა კონფერენციის დილის სხდომა.

აზიისა და აფრიკის ხალხთა სოლიდარობის კონფერენციის საღამოს სხდომაზე გამოვიდა საბჭოთა კავშირის მშვიდობის დაცვის კომიტეტის პასუხისმგებელი მდივანი მ. ი. კოტოვი. იგი გულითადად მიესალმა კონფერენციის მონაწილეთ მშვიდობისათვის მილიონობით საბჭოთა მებრძოლის სახელით.

ტაჯიკეთის სსრ მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტმა ს. უმაროვმა თავისი სიტყვა მიუძღვნა ხალხთა მეგობრობას, რომელიც ჩვენი დროის ნიშანი გახდა.

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს საგარეო ეკონომიური ურთიერთობის სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილემ მ. ი. მალახოვმა მოუთხრო დელეგატებს, თუ რა დახმარებას უწევს საბჭოთა კავშირი აზიისა და აფრიკის ხალხებს, რომლებიც დაადგნენ თავისუფლებისათვის და საკუთარი ეკონომიკის შექმნისათვის ბრძოლის გზას.

დარბაზში დიდხანს არ წყდება ტაში, როცა ტრიბუნაზე ადის ახმედ ზიმურლენი — აზიისა და აფრიკის ხალხთა სოლიდარობის ორგანიზაციის მუდმივი სამდივნოს წარმომადგენელი ალჟირისაგან.

— ვერასოდეს, — თქვა მან, — კოლონიალიზმი ვერ დაამარცხებს ჩვენს ეროვნულ განთავისუფლების სახელოვან არმიას, იმიტომ რომ ჩვენი არმია მთელი ხალხია, რომლის რევოლუციური ენერგიაც დაუშრეტელია. ალჟირელ ხალხს სწამს თავისი გამარჯვება იმიტომ, რომ, ჯერ ერთი, თავისი საკუთარი ძალების იმედი აქვს და ამავე დროს მას მხარს უჭერს ყველა მშვიდობისმოყვარე ხალხი.

დამსწრეთ დიდი ყურადღებით მოისმინეს აზიისა და აფრიკის ქვეყნების სოლიდარობის კაიროს მუდმივი სამდივნოს წერილის ტექსტი კონფერენციის მიმართ.

საღამოს სხდომაზე გამოვიდნენ აგრეთვე საქართველოს დელეგატი საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი გ. ს. ახვლედიანი და თურქმენეთის წარმომადგენელი თურქმენეთის სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატი, უნივერსიტეტის რექტორი პ. აზიმოვი, ინდოელი მწერალი შიფდან სინგჰ ჩაუხანი.

11 ოქტომბერს კონფერენცია განაგრძობს მუშაობას. (საკდესი).

◆

სოლიდარობის ხეივანი

სტალინაბადი, 11 ოქტომბერი. (საკდესი). დღეს ხალხმრავალი მიტინგი გაიმართა აინის სახელობის პარკში. აზიისა და აფრიკის ხალხთა სოლიდარობის პირველი საბჭოთა კონფერენციის მონაწილენი და სტუმრები შეიკრიბნენ აქ სოლიდარობის ხეივნის გახსნის გამო გამართულ ზეიმზე.

ათობით ახალგაზრდა ხე დარგეს კონფერენციის მონაწილეებმა. ჭადრები და ვარდის ბუჩქები, რომლებმაც „სოლიდარობის ხეივანი" შექმნეს, დაამშვენა დაფებმა შემდეგი წარწერებით „თათრეთის ასსრ", „ლენინგრადი", „არაბთა გაერთიანებული რესპუბლიკა", „იაპონია"; „კამერუნი" და სხვ.

მიტინგის მონაწილეებმა ილაპარაკეს მშვიდობისათვის მებრძოლი ხალხების დიად მეგობრობაზე.

საბერძნეთის პარლამენტარები საქართველოში

საქართველოში სტუმრად იყვნენ საბერძნეთის პარლამენტის დეპუტატები, პარტია „ახალი აგრარული მოძრაობის" თვალსაჩინო მოღვაწეები ა. ციარასი, ი. იალოფასი, აგრეთვე ამ პარტიის აღმასრულებელი კომიტეტის წევრი ა. ანასტასოპულოსი, რომელნიც ჩვენს ქვეყანაში იმყოფებიან სსრ კავშირის საპარლამენტთაშორისო ჯგუფის მოწვევით. მათ ახლდა სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის განყოფილების გამგე ფ. ზ. საზიკოვი.

თბილისის აეროპორტში საბერძნეთის პარლამენტარებს შეხვდნენ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ზ. გელდიაშვილი, თბილისის საქალაქო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარის მოადგილე გ. ვაშაკიძე, რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის მინისტრი შ. ჭანუყვაძე, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარე ბ. ლორთქიფანიძე, საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტი მ. საბაშვილი და სხვები.

ბერძენმა სტუმრებმა დიდი ინტერესი გამოიჩინეს რესპუბლიკის სუბტროპიკული სოფლის მეურნეობის მიღწევებისადმი. ისინი იყვნენ აფხაზეთის ასს რესპუბლიკაში, სადაც დაათვალიერეს სოხუმის ციტრუსების კომბინატი, ი. ბ. სტალინის სახელობის თამბაქოს ფაბრიკა. ბერძენ საზოგადო მოღვაწეებს გულითადი შეხვედრა მოუწყეს სოხუმის რაიონის კიროვის სახელობის კოლმეურნეობაში. აქ ისინი გაეცნენ ამ დიდი არტელის მრავალდარგოვან მეურნეობას, მისი წევრების ცხოვრებას. კოლმეურნეობის გამგეობამ სადილი გამართა სტუმრების პატივსაცემად.

თბილისში რომ დაბრუნდნენ, საბერძნეთის პარლამენტარებმა დაათვალიერეს საქართველოს დედაქალაქის ღირსშესანიშნაობანი, მთელი რიგი კულტურული დაწესებულებანი.

11 ოქტომბერს ა. ციარასი, ი. იალოფასი და ა. ანასტასოპულოსი მოსკოვს გაფრინდნენ. (საქდესი).

ახალგაზრდა გეოლოგთა კონფერენცია

ამიერკავკასიის მოძმე რესპუბლიკების ახალგაზრდა მეცნიერმა გეოლოგებმა თავიანთი მორიგი ტრადიციული კონფერენცია მიუძღვნეს საქართველოს მშრომელთა სასიხარულო დღესასწაულს — რესპუბლიკაში საბჭოთა ხელისუფლების დამყარებისა და საქართველოს კომუნისტური პარტიის შექმნის 40 წლისთავს. კონფერენცია გაიხსნა 11 ოქტომბერს საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის სხდომათა დარბაზში. კონფერენციაზე ჩამოვიდნენ აგრეთვე სტუმრები — თურქმენეთის მეცნიერებათა აკადემიის გეოლოგიის ინსტიტუტის მეცნიერი მუშაკები.

ოთხი რესპუბლიკის ახალგაზრდა მეცნიერებს მიესალმა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტი, პროფესორი პ. გამყრელიძე. პირველ დღეს მოხსენებები წაიკითხეს გეოლოგებმა მ. ლორთქიფანიძემ (თბილისი), კ. კარაპეტიანმა, რ. დრჟბაშიანმა (ერევანი), დ. სულთანოვმა (ბაქო). კონფერენციის მონაწილეები მოაწყობენ ექსკურსიებს გეოლოგიურად საინტერესო ადგილებში, დაათვალიერებენ საქართველოს ძველი კულტურის ძეგლებს.

(საქდესი).

კ. ფ. გოგოლაშვილი



ეროვნული ბიბლიოთეკა

გარდაიცვალა კომუნისტური პარტიის წევრი 1919 წლიდან, პერსონალური პენსიონერი კონსტანტინე ფილიპეს-ძე გოგოლაშვილი.

კ. გოგოლაშვილი დაიბადა 1888 წელს სიღნაღის მაზრის სოფელ ანაგაში. 1905 წელს დაამთავრა სიღნაღის საქალაქო სკოლა. ჯერ კიდევ სწავლობის დროს ჩაება რევოლუციურ მოძრაობაში, 1905 წელს აქტიურად მონაწილეობდა მოსწავლეთა გაფიცვებსა და დემონსტრაციებში. 1909-1913 წლებში იგი სწავლობდა ჯერ ოდესის, შემდეგ ბაქოს ტექნიკურ სასწავლებლებში, მიიღო ტოპოგრაფ-მიწისმზომლის სპეციალობა და დაიწყო მუშაობა ქ. განჯაში.

1917 წლის თებერვლის რევოლუციის დღეებში კ. გოგოლაშვილი პეტროგრადში იმყოფებოდა, მონაწილეობდა პეტროგრადის მუშათა და ჯარისკაცთა რევოლუციურ გამოსვლებში. 1917 წლის ივნისში იგი დაბრუნდა საქართველოში და ეწეოდა არალეგალურ პარტიულ მუშაობას სიღნაღის მაზრაში, მან აქტიური მონაწილეობა მიიღო მაზრის მშრომელთა შეიარაღებული აჯანყებისათვის მზადებაში, იყო აჯანყების შტაბის წევრი და სამხედრო კომისარი.

საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ კ. გოგოლაშვილი მუშაობდა სიღნაღის მაზრის რევკომის სამიწათმოქმედო განყოფილების გამგედ, სიღნაღის მაზრის პროკურორად, 1932 წელს დაამთავრა ინდუსტრიული ინსტიტუტის სამშენებლო ფაკულტეტი და შემდეგ მუშაობდა თბილისის სხვადასხვა საპროექტო-სამშენებლო ორგანიზაციებში ხელმძღვანელ თანამდებობებზე.

კ. გოგოლაშვილის ხსოვნა მარად დარჩება მისი ამხანაგების გულში.

ამხანაგების ჯგუფი.

კომუნისტი სპორტი

ჭადრაკი

სსრ კავშირის გუნდური პირველობა

გუშინ მოსკოვის ცენტრალურ საჭადრაკო კლუბში გაიმართა ჭადრაკში საბჭოთა კავშირის გუნდური პირველობის მეშვიდე ტური.

ჩვენი სპეციალური კორესპონდენტი, საერთაშორისო ოსტატი **ვ. გოგლიძე** გვატყობინებს, რომ საქართველოს მოჭადრაკეთა გუნდი შეხვდა უკრაინელ მოჭადრაკეებს.

ქართველმა სპორტის ოსტატმა ნონა გაფრინდაშვილმა კვლავ ისახელა თავი და კიდევ ერთი ქულა შესძინა გუნდს. ამჯერად მან დაამარცხა სულიმოვა. კაკაბაძე-ლისენბოინის პარტია ყაიმით დამთავრდა. ბლაგიძემ წააგო სახაროვთან, ჯანოევმა — ბანიკთან, ვეტოხინმა—გუფელდთან, შიშოვმა — სიანოვსკისთან. გურგენიძე-ზურახოვის, ბუსლაევ-შტეინის, ჯიბიაშვილ-სიმოვიჩის, ტოგონიძე-მალინოვას პარტიები გადადებულია.

ჯერჯერობით უკრაინისა და საქართველოს გუნდების შეხვედრის ანგარიშია 4,5:1,5.

ამავე დღეს ბელორუსიის გუნდმა დაამარცხა ესტონეთის გუნდი 4:3, მოსკოვისამ — ლენინგრადის — 3,5:2,5, რსფსრ გუნდმა — ლატვიის გუნდი — 6:1.

დღეს გაიმართება მერვე ტური. საქართველოს მოჭადრაკეები შეხვდებიან ბელორუსიის მოჭადრაკეებს.

ვ. ბრუმელის ახალი რეკორდი

ლუგანსკში მძლეოსანთა საქალაქო შეჯიბრებაზე რომის ოლიმპიური ასპარეზობის პრიზიორმა ვ. ბრუმელმა დაამყარა საბჭოთა კავშირისა და ევროპის ახალი რეკორდი სიმაღლეზე ხტომაში. იგი გადახტა 2 მეტრსა და 19 სანტიმეტრზე.

თბილისის დინამოელები ინგლისში მიემგზავრებიან

წელს საბჭოთა კავშირში საერთაშორისო ამხანაგური შეხვედრების ჩასატარებლად იმყოფებოდა უცხოეთის 29 ფეხბურთელთა გუნდი. თავის მხრივ საბჭოთა ფეხბურთელებმა საზღვარგარეთის სტადიონებზე 75 მატჩი გამართეს.

საბჭოთა კავშირის ფეხბურთის ფედერაციამ გადაწყვიტა, რომ ოქტომბრის ბოლო რიცხვებში ალბანეთში ოთხი ამხანაგური შეხვედრის გასამართავად გაემგზავროს ლენინგრადის „ადმირალტეეცი" მინსკის „ბელარუსი" მატჩებს გამართავს ჩინეთის სახალხო რესპუბლიკაში. ხოლო მოსკოვის „სპარტაკი" — ჩეხოსლოვაკიაში.

ნოემბრის პირველ რიცხვებში კორეის სახალხო-დემოკრატიულ რესპუბლიკაში მიწვეულია კუიბიშევის „კრილია სოვეტოვი", ხოლო იაპონიაში — მოსკოვის „ლოკომოტივი", ინდოეთში — ტაშკენტის „პახტაკორი", გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკაში — კიევის „დინამო", ეთიოპიაში — ბაქოს ნეფტიანიკი", არაბთა გაერთიანებული რესპუბლიკის სირიის რაიონში — ლენინაკანის „შირაქი". გადაწყვეტილია ჩვენი ქვეყნის უძლიერეს ფეხბურთელთა გუნდების ტურნე საფრანგეთში, იტალიაში, განაში.

თბილისის „დინამოს" ოსტატ ფეხბურთელთა გუნდი ნოემბრის შუა რიცხვებში ინგლისში გაემგზავრება, სადაც საერთაშორისო ამხანაგურ მატჩებს გამართავს ამ ქვეყნის უძლიერეს კლუბებთან.

საინტერესო დაბოლოება

როზენფელდი



მეგრელიშვილი

ამ პოზიციას შევხვდით პარტიაში, რომელიც ახალგაზრდა ქართველმა მოჭადრაკემ, საქართველოს სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის სტუდენტმა ს. მეგრელიშვილმა ოსტატობის კანდიდატად როზენფელდთან ითამაშა ესტონეთთან მატჩში. მეგრელიშვილმა გონებამახვილურად გაითამაშა დებიუტი და პოზიციური უპირატესობა მიიღო. შემდეგ მას ფრიად ენერგიულად მიაქვს იერიში მოწინააღმდეგის მეფის პოზიციაზე. 20. ეd6! g5 21. hg ეg7 22. ლe3! (ორმაგი თავდასხმით a7 და h6 პაიკებზე) 22... ე:g6 23. ლ:a7 კ:d6 24. ed ლb8 25. ლb6 e5 26. ლc5+ მფd8 27. ლ:e5 ეe8 28. ლd4 b6 29. ეe1! (იმუქრება ეტლის გადაყვანას e3, c3 უჯრედებით c7-ზე) 29... ეeg8 30. g3 ეg4 31. ლf6+ მფc8 32. ეe3! მფ b7 33. მc5+! bc 34. ეb3+ მფc6 35. ე:b3 ე:b8 36. b3 h5 37. c4 h4 38. ლf7 hg 39. ლd5+ მფb6 40. fg კc6 41. ლ:f5 ეg7 42. მფf2 e3+ 43. კ:e3+ შავები დანებდნენ.

სსრ კავშირის პირველობაზე

მოსკოვი. 11 ოქტომბერი. დღეს აქ გაიმართა მორიგი შეხვედრა ფეხბურთში პირველი ფინალური ჯგუფის გუნდებისათვის საბჭოთა კავშირის პირველობაზე, თამაშობდნენ დედაქალაქის „დინამოს" და „ლოკომოტივის" ოსტატ ფეხბურთელთა გუნდები. მატჩი დამთავრდა დინამოელთა გამარჯვებით ანგარიშით 1:0.

როსტოვი. 11 ოქტომბერი. „როსტსელმაშის" სტადიონზე ერთმანეთს შეხვდნენ პირველი ფინალური ჯგუფის გუნდები — ადგილობრივი სკა და გათამაშების ლიდერი მოსკოვის „ტორპედო". თამაში დამთავრდა ფრედ 2:2.

ამინდი

13 და 14 ოქტომბერს დასავლეთ საქართველოში მოსალოდნელია ცვალებადი მოღრუბლულობა, ალაგ-ალაგ წვიმა, უმეტესად სანაპირო რაიონებში, ცვალებადი მიმართულების სუსტი ზომიერამდე ქარი; ტემპერატურა დაბლობ რაიონებში ღამით 10-15, დღისით 20-25 გრადუსი, მთიან რაიონებში ღამით 2-7, დღისით 12-17 გრადუსი.

აღმოსავლეთ საქართველოში — ცვალებადი მოღრუბლულობა უმეტესად უნალექოდ, სუსტი ქარი; ტემპერატურა დაბლობ რაიონებში ღამით 6-11, დღისით 17-22 გრადუსი, მთიან რაიონებში ღამით 0-5, დღისით 10-15 გრადუსი.

რედაქტორი
დ. მჟედლიშვილი.

12 ოქტომბერი



თეატრები: რუსთაველის სახელობის — ისინი შეხვდნენ ერთმანეთს, მარჯანიშვილის სახელობის — ამერიკული ტრაგედია, **გრიბოედოვის სახელობის** — გაზაფხულის ვიოლინოები, **სანკულტურის** — სახელგატეხილნი (აბონ. გარეშე), **მოზარდ მაყურებელთა ქართული** — გიქორი (აბ. № 47, 6 ს.), **თოჯინების ქართული** — ტყის საათი (4 ს.).

კინოები: რუსთაველის სახელობის, ამირანი, ოქტომბერი, სპარტაკი, საქართველო (მწვანე დარბაზი), საქართველო (საზაფხულო), პლეხანოვის სახელობის კლუბი (საზამთრო), კიროვის სახელობის პარკი, კომუნარების ბაღი, გაზაფხული — მათხოვე ცოლი, ამირანი (საზაფხულო), კოლხიდა (საზაფხულო) — ლევანა, ფილარმონიის ბაღი, ძერჟინსკის სახელობის კლუბი (საზამთრო) — მისტერ პიტკინი მტრის ზურგში, ისანი (საზამთრო), 26 კომისრის სახელობის (მეორე დარბაზი), კოლხიდა (საზამთრო), ჭავჭავაძის სახელობის კლუბი (საზაფხულო), ვაკის კულტურისა და დასვენების პარკი — 105% ალიბი, ისანი (საზაფხულო) — კვესი, თბილისი — მერი პიქფორდის კოცნა, ჭავჭავაძის სახელობის კლუბი (საზაფხულო), კომკავშირელი — სამარადისოდ ერთად, 26 კომისრის სახელობის (საზაფხულო) — შეწყვეტილი სიმღერა, საქართველო (წითელი დარბაზი), კოლმეურნე, დიდუბე (საზამთრო), ყაზბეგი — პაპა გიგია, გორკის სახელობის კულტურის სახლი (საზამთრო) — ჩარლი ჩაპლინის კინოკომედიები.

ჩვენი მისამართი და ტელეფონები:
თბილისი, ლენინის ქ. № 14. ტელეფონები: რედაქტორის მოადგილეების — 3-63-03, 3-82-05, პასუხისმგებელი მდივნის — 3-72-80. სამდივნოსი — 3-81-65, განყოფილებებისა: პარტიული ცხოვრების და საბჭოთა მშენებლობის — 3-81-84, მარქსისტულ-ლენინური თეორიის, მრეწველობისა და ტრანსპორტის — 3-57-61, სოფლის მეურნეობის — 3-32-46, მეცნიერების, უმაღლესი სასწავლებლებისა და სკოლების, ლიტერატურისა და ხელოვნების — 3-80-84, წერილების — 3-73-24, ინფორმაციის — 3-16-90, საილუსტრაციო — 3-20-43, მუშსოფლკორთა კაბინეტის — 3-08-67, განცხადებების მიღების — 3-64-42.
უე 05307
საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის გამომცემლობის პოლიგრაფიული კომბინატი „კომუნისტი", ლენინის ქ. № 14.